ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 11 ოქტომბერი 2004 №236 (2257) ფასი 50 თეთრი

ჩვენი გულები თქვენ მოგყვებათ!

საქართველო ლვოვში გაფრინდა

ალენ ჭირესი: შევჩენეოს პერსონალური მეურვე არ ეყოლება. ზონური დაცვით გავაჩერებთ

ანდრეი შევჩენკო: დიდი მადლობა ჯახა ჯალაძეს, ჩვენს წინააღმდეგ რომ არ ითამაშებს

გადრი კეთილაძის ფოტო

გადრი კეთილაძის ფოტო

დღეს საქართველოს ნაკრებს დაარსებიდან 54-ედ ვაცილებთ უცხო ქვეყნის ნაკრებთან სათამაშოდ. ამჯერად უკრაინაში, ლვოვში, სადაც ჩვენი ეროვნული გუნდი საღამოს ჩაფრინდება.

54-ედ. თუგინდ 154-ე გამგზავრება იყოს, ეს არასდროს იქნება ერთი ჩვეულებრივი ამბავი — საქართველოს ნაკრები მთლიანად საქართველოსია, მისი დამარცხება ჩვენი საერთო წუხილი, გამარჯვება კი ღირსების საქმეა.

და როცა ქვეყნის სიხარულსა და წუხილზე, მის ღირსებაზეა ლაპარაკი, ნაკრებს ისე უნდა დაულოცო გზა, როგორც ომში მიმავალ მეომარს და ვინ თქვა, რომ ფეხბურთი ბრძოლა არ არის?!

ჩვენს ეროვნულ გუნდს დღეს მით უფრო უნდა დავულოცოთ გზა, რომ ჩვენ აქამდე არასდროს გვქონია წარმატების იმედი ისე, როგორც ამ შესარჩევ ციკლში გვაქვს. ჩვენ აქამდე არასდროს გვინახავს საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერად, მხოლოდ ახლა ვნახეთ. ხოლო ის, რომ ჩვენს ნაკრებს უკრაინასთან ბრძოლაში არ ეყოლება კახა კალაძე, ბოლოწამს კი დავით კვირკველიაც გამოაკლდა, ჩვენს იმედს ვერაფერს აკლებს.

ხვალიდან ჩვენი კორესპონდენტი კობა ინასარიძე ლვოვიდან მოგვწერს საოთხშაბათო მატჩისთვის ჩვენი გუნდის მზადების ამბებს. ოთხშაბათს ჩვენ ომახიანად დავძახებთ: მიდით და მოუგეთ!

დღეს კი ჩვენს ნაკრებს უკრაინაში ასე გავაცილებთ: ჩვენი გულები თქვენ მოგყვებათ!

ჟირესმა ასათიანი ვერ იპოვა

უკრაინული ტაქტიკის ფრანგული ვარიანტები

დღეს საქართველოს ნაკრები ჩარტერული რეისით უკრაინასთან შესარჩევი მატჩის სათამაშოდ ლვოვში მიემგზავრება.

ამ უქმეებზე კი ჩვენები „ოლიმპის“ სტადიონზე ვარჯიშობდნენ, ვარჯიშობდნენ მთელი დატვირთვით და საუკრაინო საქმესაც მთელი სერიოზულობით მოჰკიდეს ხელი...

დავით კვირკველია

ბადრი ჯიმლიხიძის ფოტო

აქვე ვთქვათ ახალი ამბავიც — ნაკრებს გამოაკლდა დავით კვირკველია, რომელსაც ძველი, კუნთის ტრავმა გაუმიზეზდა და გუშინ თანაგუნდელთა ვარჯიშს ტრიბუნიდან უცქირა.

— ლვოვში ჩემი თამაში გამორიცხულია, ხვალ ექიმები რენტგენს გადამიღებენ და ზუსტად მეტყვიან, რამდენ ხანს მომიწევს მკურნალობა — გვითხრა დავით კვირკველიამ.

სამაგიეროდ, მომჯობინდა და უკრაინასთან ითამაშებს „რეინჯერსის“ მცველი ზურაბ ხიზანიშვილი, მან გუშინ უკვე დანარჩენებივით მთელი დავტირთვით ივარჯიშა, ფეხის ტკივილს არ შეუწუხებია და იმედიანად გვითხრა — თამაშისთვის მზად ვარო.

მოკლედ, ეროვნული გუნდი 20 ფეხბურთელით დარჩა, ყველა ჯანზეა, თუმც ჟირესი ლვოვში ოცივეს იახლებს თუ არა, კიდევ საკითხავია. დღეისათვის ნაკრებში სამი მეკარეა და მწვრთნელმა შესაძლოა ერთ-ერთი თბილისში დატოვოს. კვირკველიას შემცვლელად კი ჟირესმა არავის დაუძახა.

გუშინდელი ვარჯიშიც, ისევე როგორც შეკრების დაწყებიდან ყველა, ორსაათნახევარს გაგრძელდა. იყო მოთელვა, კვადრატი და „ორი კარი“. ჟირესმა გუნდი ორად გაჰყო, კვირკველიას ნაცვლად კი ერთ მხარეს მისი თანაშემწე გია გურული ათამაშა. მწვრთნელმა ვარჯიში რამდენჯერმე გააჩერა და შეგირდებს ნაირ-ნაირ შენიშვნებს აძლევდა, იქვე დაფაზე დავალებას უხსნიდა და თამაშიც გრძელდებოდა.

ალენ ჟირესს განსაკუთრებული ყურადღება მალხაზ ასათიანისკენ ჰქონდა, ვისაც ორმხრივი მატჩისას პოზიცია რამდენჯერმე შეუცვალა და ორ-სამჯერ სალაპარაკოდ ცალკეც გაიხმო. მწვრთნელს ასათიანის, ეტყობა, ძალიან ეიმედება და „უკრაინულ ტაქტიკაში“ მალხაზს, ალბათ, განსაკუთრებული ადგილი ექნება. სად, რომელ პოზიციაზე ათამაშებს ჟირესი მოსკოვის „ლოკომოტივის“ მცველს ახლა ვერ გეტყვით, თუმც გუშინ მალხაზი გამთამაშებელიც იყო, საყრდენიც და ცენტრალური მცველიც. ვარჯიშის ბოლოს კი მწვრთნელი თავის თანაშემწეებთან ერთად ესაუბრა მალხაზს და იმედიანად დაშორდა. რა ითქვა მათ შორის, ალბათ, თამაშისას გამოჩნდება.

კიდევ ერთი, რაც გუშინდელი ვარჯიშისას შევნიშნეთ: ჟირესი ლვოვში გუნდს, ალბათ, სამი ცენტრალური და ორი განაპირა მცველით ათამაშებს. ფლანგებზე შესაძლოა კობიაშვილი და მჟავანაძე იყვნენ, შუაში კი ხიზანიშვილი-ასათიანი-ხიზანეიშვილი. თუ ასათიანს მწვრთნელი ნახევარდაცვაში გაამწესებს მის ადგილზე იქნებ ლაშა სალუქვაძე ვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში გუშინ მწვრთნელმა დაცვის ასეთი ვარიანტიც მოსინჯა.

ჩავინიშნეთ ისიც, რომ ჟირესს მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოების შემსრულებლად ლევან ცქიტიშვილი ჰყავს შეგულებული, კარის სიახლოვედან კი ჯარიმებს, ალბათ, გოჩა ჯამარაული ჩაახვევს.

დანარჩენი, ოთხშაბათს, ლვოვში გამოჩნდება.

ძოგა ინასარიძე

ბადრი ჯიმლიხიძის ფოტო

ალენ ჟირესს მალხაზ ასათიანისთვის სათქმელი ბევრი აქვს

ძოგა ინასარიძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი უკრაინაში ალბათ ითამაშებს

გიო ახვლედიანის სვეტი

ფეხის წინ წადგმის ამბავი

უქმეებზე კარგი ამბები მოისმოდა საქართველოს ნაკრებიდან, რომელიც დღეს უკვე გაემგზავრა ჩრდილოეთით, რათა ლვოვში შეხვდეს მასპინძელ უკრაინელებს.

კარგი აზრები ის არის, რომ საქართველო თავზეხელაღებულად ვარჯიშობს და გაალმასება ეტყობა, ხოლო უკრაინა კი მთლად ვერ არის ხასიათზე.

ყოველი ახალი თამაში ახალი გამოცდაა (აი, რა გაცვეთილი სიტყვებით შეიძლება ნამდვილი ვითარების აღწერა) და ყოველი გამოცდა უფრო და უფრო მძიმე იქნება. მძიმე იქნება თამაში უკრაინასთანაც. აბა, როგორ არ იქნება მძიმე? ოღონდაც, საქართველომ სრულიად უნდა დაივიწყოს და გააქროს ის დემონები, რომლებიც აფხიზლებენ ხოლმე, როცა ვახსენებთ სიტყვებს: კიევის ფეხბურთი და უკრაინა.

საქართველომ ჯიგრით, ყისმათით, იღბლით დაიწყო შესარჩევი ციკლი და არ წაუგია. ამგვარ ვითარებაში ცხონებული დიდი კაცის, ლობანოვსკის აჩრდილის წინაშე პატივისცემა კი საპატიოა, მაგრამ მის წინაშე თრთოლვა დამლუპველი. ლობანოვსკი აღარ არის უკრაინის მწვრთნელი და, დიდი ფეხბურთელი უკრაინას ერთი ჰყავს, რომელიც მთლად კარგად ვერაა ნაკრების მწვრთნელთან, ძველ დიდ ფეხბურთელ ბლოხინთან.

ახლა ჩვენ თუ შევას შიშით ფარა გავწყვიტეთ...

შაბათს კი გაუტანა ბერძნებს, მაგრამ ჩვენთან ეგებ სულაც არ ითამაშოს. ადრე ამბობდა, ორიდან ერთს ვითამაშებო. გინდაც ითამაშოს... გენახათ, როგორ ვარჯიშობდა ავლაბარში საქართველოს ნაკრები. ყოველ ახალ თამაშში საქართველოს მოუწევს ახალ-ახალი დემონებისა და მითების დამარცხება და ახლა სწორედ უკრაინელების ჯერია. ეგებ, არა მაინცდამაინც მოგებით, მაგრამ თამაშით და სულით კი. იმისთვის, რომ ახალი ბრძოლების წინ აღარასოდეს ვიფიქროთ იმაზე, რომ წაგებულები ვართ, თაობიდან თაობამდე წაგებულები.

აბა, რა ვიცით, რა მოხდება ლვოვში, იმის რწმენა კი მე პირადად გვარიანი მაქვს, რომ საქართველოს არ იქნება ყურჩამოყრილი. ერთხელ მეფე ერეკლემ შუა ბრძოლაში შეამჩნია, რა ერთი აზნაურიშვილი ფოთხილად წაიხმალავებს და ერიდება ბრძოლას. რასა შვები ბიჭოო, დაუძახია ერეკლეს იმ ხმალაობაში. ხმალი მაქვს მოკლეო, მიუგო აზნაურიშვილმა. „მერე ფეხი წინ წადგი და დაგრძელდება“ — შეუყვირა თურმე ერეკლემ.

აი, ასე იქნება. მე მჯერა.

ვითამაშებთ... რაც გამოვა, მთავარია ნამდვილი იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქი ჟირესსაც ჩაუქრა

შევჩენკოს ზონურად დავიჭერთ

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები დღეს 16 საათზე ჩარტერული რეისით გაემგზავრებიან უკრაინაში. გუშინ კი ეროვნული გუნდის დამრიგებელმა ალენ ჟირესმა მორიგი პრესკონფერენცია გამართა.

ჟირესისგან ჯერ ცუდი ამბავი შევიტყვეთ — დავით კვირკველიას ვარჯიშზე ძველმა ტრავმამ თავი შეახსენა და ნაკრებს უკრაინაში ვერ გაჰყვება. დამაიმედებელი ინფორმაციაა ის, რომ ზურაბ ხიზანიშვილს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში უკვე შეუძლია და იქნებ უკრაინასთან ითამაშოს კიდეც. მოკლედ, ჟირესი განკარგულებაში ოცი ფეხბურთელია — ნაკრებს რუსეთიდან გიორგი ლომაია და კახა მჟავანაძეც შეუერთდნენ... როცა მუსიე ჟირესმა ყველაფერი ამის შესახებ მოგვახსენა, სხვაც ვკითხეთ...

— უკრაინა — საბერძნეთს ალბათ უყურეთ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ამ მატჩის მხოლოდ ერთ ტაიმს ვუყურე, რადგან დენი გამოირთო. რაც ვნახე, აგრესიული თამაში იყო, უფრო ფიზიკაზე ორიენტირებული, ვიდრე ტექნიკაზე, ასე ვთქვათ, კაცების თამაში. უკრაინის ნახევარდაცვა კარგი ფიზიკური კონდიციებით გამოირჩეოდა, ფლანგებზე სწრაფად თამაშობენ, შევჩენკო კი მართლაც ფიგურაა.

— უკრაინაში ჩვენი დამკვირვებელი იმყოფება და რა ინფორმაცია მოგაწოდათ მან?

— ის ჯერაც მუშაობს და მასთან ლვოვში ვისაუბრებ.

— ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობაზე რას იტყოდით?

— ცხრილში რა ხდება, ამ დროისთვის არ მაინტერესებს — ჩვენ ცხრილის მიხედვით არ ვემზადებით.

— თურქეთთან ფრისთვის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა რა პრემია მიიღეს?

— ეს საიდუმლოა და საერთოდ, ჩვენი არც ერთი ფეხბურთელი პრემიაზე არ ფიქრობს.

— თუ ვინ უკაპიტნებს გუნდს უკრაინასთან, ეს ჯერაც არ გარკვეულა?

— გუნდის ერთ-ერთ ფეხბურთელს მალე ვეტყვი, რომ კაპიტანი შენ იქნები.

— კახა კალაძე და დავით კვირკველია უკრაინასთან ვერ ითამაშებენ — როგორ აპირებთ მარცხენა ფლანგის შევსებას?

— თამაშზე ისეთი თერთმეტი ფეხბურთელი გვეყოლება, რომლებიც მარჯვნივაც ითამაშებენ და მარცხნივაც.

— უკრაინამ 9 ოქტომბერს საბერძნეთთან ითამაშა და ოთხი დღის შემდეგ ჩვენ გვეთამაშება — ეს ჩვენთვის კარგია?

— ამას ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. დადებითი ისაა, რომ შესაძლოა, უკრაინელები გადაღლილები იყვნენ. მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ საბერძნეთთან ფრე მათთვის ცუდი შედეგია და განაწყენებულებმა უფრო მეტი შემართებით ითამაშონ. თანაც თამაში ლვოვში გვაქვს, სადაც სტადიონი ალბათ გაივსება.

— შევჩენკოს პერსონალურ მეურვეს მიუჩენთ?

— ამას არ ვაპირებ. შევჩენკოს წინააღმდეგ დაზღვევაზე თამაში ძალიან მნიშვნელოვანია და ზონური დაცვით ვითამაშებთ.

— საქართველოს ეროვნულ ნაკრებს პრესატაშე აღარ ჰყავს — როგორ მოვიპოვებთ ინფორმაციას უკრაინიდან?

— მართებული შეკითხვაა, პრესატაშე ჟურნალისტებთან ურთიერთობას მიადვილებდა, მაგრამ სამწუხაროდ პრესატაშეს მე ვერ დავნიშნავ.

დავით თავართქილაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

უკრაინა 1:1 საბერძნეთი

1:0 შევჩენკო (48), 1:1 ცარტასი (81)

უკრაინა: შოვკოვსკი, რუსოლი, იეზერსკი, ნესმაჩნი, ფიოდოროვი, გუსევი, შელაევი (ზაკარლიუკა 85), ტიმოშჩუკი, ვორონინი (ბელიკი 89), შევჩენკო, ვორობეი (გუსინი 61)

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, დელასი, ფისასი, ბასინასი (გეორგიადისი 78), ზაგორაკისი, კაცურანისი, იანაკოპულოსი (ხარისტეასი 61), კარაგუნისი, ვრიზასი (ცარტასი 70)

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

ნუ გამოგვექიდებით!

ბლოხინმა ჟურნალისტები ქართველებით გააჩუმა

უკრაინა — საბერძნეთი საჩვენო ანგარიშით დასრულდა. 1:1 საქართველოს ნაკრების თავკაცობას უეჭველად გაახარებდა და ახლა ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. 13 ოქტომბერს ლვოვში ერთი გასროლა გვინდა და ჯგუფს კვლავაც თავში მოვექცევით.

მოკლედ, უკრაინელები ბერძნებთან მატჩის დაწყებას ცდილობენ და... რა გამოუვათ, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ოლეგ ბლოხინს ჟურნალისტებთან ასეთი თხოვნა აქვს: „ნუ გამოგვექიდებით შეცდომებზე და ზედმეტად ნუ გააკრიტიკებთ ბიჭებს. თუ რამის თქმას აპირებთ, ძალიან გთხოვთ, ორი-სამი დღე მოითმინეთ. თორემ შესაძლოა, საქართველოსთან მატჩამდე გუნდი ფსიქოლოგიურად დაითრგუნოს“.

ამას ამბობს ბლოხინი და... ჟურნალისტებისგან მაინც მკვახე რეპლიკებს ისმენს, ოღონდ მაინც „ცივილიზებულ“ ფორმებში. უკრაინელები თავიანთ ნაკრების თამაშზე ბევრს არაფერს წერენ. უბრალოდ, მათი აზრით, ბერძნები გუსევს, ვორონინს და ვორობეის უნდა უმადლოდნენ ამ ქულას. მასპინძელთა თავდამსხმელებმა თავზესაყრელი მომენტები გაანიავეს...

ანდრეი შევჩენკომ კი 48-ე წუთზე შეძლო გოლის გატანა და ისიც მეკარის უხეში შეცდომის ხარჯზე.

ამ გოლის შემდეგ ყველას 1999 წლის 9 ოქტომბერი გაახსენდა. მაშინ შევჩენკომ „ლუჟნიკებზეც“ მსგავსი გოლი გაუტანა ალექსანდრ ფილიმონოვს და რუსეთი ჯგუფში ჩატოვა.

მეორე ტაიმში ბერძნები დაცვის გაძლიერებას აპირებდნენ, მაგრამ შევჩენკოს გოლმა მათი გეგმები არია. ოტო რეჰაგელმა შეცვლები გააკეთა და თავისი ცნობილი ჟესტებით თუ სტვენა-სტვენით სცადა გუნდის გადაწყობა. შედეგი ასეთია: 70-ე წუთიდან ბერძნები გააქტიურდნენ და ბურთიც დაიჭირეს. მეტოქის საჯარიმოს გაუშინაურდა მცველი ტრაიანოს დელასიც და სწორედ მასთან დაჯარიმდა 82-ე წუთზე გუსინი.

ბურთან ვასილიოს ცარტასი მივიდა და 30 მეტრიდან გასროლილი მრგვალი საგანი ალექსანდრ შოვკოვსკის კარის ცხრიანში შეფრინდა.

ცარტასმა არანორმალური გოლი გაგვიტანაო, თქვა ნამატჩევს ბლოხინმა.

და მთავარი, უკრაინული დასკვნა: ასეთ ევროპის ჩემპიონებს თავისუფლად უნდა ვამარცხებდეთ, ვალდებულებიც კი ვიყავით, მოგვეგოო.

ასეთი აზრი ტრიალებს დღეს უკრაინაში და ამას მწვრთნელიც ეთანხმება: „გუნდის თამაშის კმაყოფილი ვარ. ბიჭები 100 პროცენტით დაიხარჯნენ. თან მეტოქესაც ხომ გააჩნია — ჩვენ ევროპის ჩემპიონს ვეთამაშებოდით, თუმც მოგება შევძელო. ეგაა, ბოლოს მოვდუნდით და გოლიც გავუშვით. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ ფაქტია, ის ჯარიმა მსაჯმა გამოიგონა. ისე, ცარტასმაც არანორმალურად დაარტყა.

ჩემი თხოვნაა, ეს ყველაფერი დავივიწყოთ და საქართველოზე ვიფიქროთ. წინ ურთულესი მატჩი გველის“ — თქვა ბლოხინმა.

კახა შალამბერიძე

REUTERS

ბერძნებს, რა თქმა უნდა, ანდრეი შევჩენკომ გაუტანა

REUTERS

უკრაინელებს გეორგიოს კარაგუნისის შეჩერება გაუჭირდათ

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ალბანეთი 1:2 დანია

0:1 რასმუსენი (28), 0:2 აბსალონსენი (74), 1:2 ჩიპანი (90)

უკრაინა 1:0 საბერძნეთი

1:0 ალიევი (24პ)

თურქეთი 1:0 ყაზახეთი

1:0 შენთურქი (77)

დანია	2	2	0	0	5:3	6
უკრაინა	3	2	0	1	4:3	6
საქართველო	2	1	1	0	2:1	4
საბერძნეთი	3	1	1	1	3:3	4
თურქეთი	3	1	1	1	2:2	4
ალბანეთი	3	0	1	2	3:5	1
ყაზახეთი	2	0	0	2	0:2	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ალბანეთი 0:2 დანია

0:1 იორგენსენი (52), 0:2 ტომასონი (73)

ალბანეთი: სტრაკოშა, ბექირი, მურატი, ხაკში, ჩანა, ჰასი, შკელა, ლალა, მუკაი (ბუში 78), დურო, ტარე

მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი

დანია: სკოვ-იენსენი, პრისკე, კროლდრუპი, პელვეგი, გრონკიაერი (კალემბერგი 77), პოულსენი, ნ. იენსენი, გრავესენი, ტომასონი, იორგენსენი (კრისტიანსენი 82), პედერსენი (რომედალი 46)

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

ბრიგელს ორწლიანი შეუწყვიტეს

ფოტოს ფოტოფინიში: ორი გოლი და ბევრი სეივი



მორტენ ოლსენი

ტირანული ბაიარამობა დასრულდა — ალბანეთის ნაკრებმა ორწლიანი პაუზის შემდეგ შინ წააგო.

მარტინ იორგენსენს პირველ ტაიმშიც უნდა გაეტანა, მაგრამ ალბანეთი ფოტო სტრაკოშამ იხსნა. მეორე ცდაზე კი იორგენსენს რიკოშეტი დაეხმარა — ბურთი ჯერ ალბანელთა მცველ ბესნიკ ჰასის მოხვდა და კარში მერე შევარდა.

პირველ გაშვებულ გოლამდე ალბანეთი თითქმის სულ იმას ცდილობდა, რომ ახმახი ფორვარდი იგლი ტარე მაღალი ბურთებით მოემარაგებინა, თუმც ამის შედეგი არ მოჰყოლია. გაშვებული გოლის შემდეგ ტარეს გათანაბრების შანსი მიეცა, მაგრამ ბურთი დანიელთა კარის ძელს შეაწყვიტა. აქედან ექვს წუთში კი იონ დალ ტომასონმა მიხდენილ დარტყმით დაბალი ბურთი შეაცურა სტრაკოშას კარში.

რომ არა ალბანელთა მეკარე, დანიელები კიდევ იხეირებდნენ — სტრაკოშამ რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. მასპინძელთა იერიშებს ძალა მაშინ მოემატა, როცა ჰან-პეტერ ბრიგელმა მოედანზე ალბან ბუში შეუშვა — ამის იქით ალბანელებს ერთი-ორი რიგიანი შანსი კი მიეცათ გოლის გასატანად, მაგრამ ჩაფლავდნენ.

დავით თავართქილაძე

თურქეთი	3	1	2	0	5:1	5
უკრაინა	3	1	2	0	4:3	5
საქართველო	2	1	1	0	3:1	4
დანია	2	1	1	0	3:1	4
ალბანეთი	3	1	0	2	2:5	3
საბერძნეთი	3	0	2	1	2:3	2
ყაზახეთი	2	0	0	2	1:6	0

თურქეთი 4:0 ყაზახეთი

1:0 კარადენიზი (17), 2:0 ნიჰათი (51), 3:0, 4:0 ფათიჰი (89, 90)

თურქეთი: რუშთუ, სეიჰანი, ჩეთინი, უმით ოზატი, ბარიში, ბალჩი, ჩიმშირი, ათიში, ნიჰათი (ჰამიტ ალტინტოპი 84), ფათიჰი, კარადენიზი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

ყაზახეთი: ნოვიკოვი (მორევი 52), ლიაპკინი, ავდეევი, სმაკოვი (კოზულინი 59), დუბინსკი, ფამილცევი, ჩიჩულინი (ბალტიევი 33), კარპოვიჩი, ნიზოვცევი, ირისმეტოვი, ბულეშევი

მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

ყაზახები ფათიჰ ტეკემ დაბომბა

საქართველოს პირველი ლიგა 16 ჩემპიონატი 8 ტური

დავით სევასტოპულომ კონსტანტინე გუგუნავა სამჯერ დააღონა

თბილისი. 9 ოქტომბერი. 15 საათი. ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა. 350 მაყურებელი

ამერი 4:1 ჩიხურა

1:0 სევასტოპულო (8), 2:0 დავითნიძე (14), 3:0, 4:0 სევასტოპულო (38, 44), 4:1 გოდერძიშვილი (71)

ამერი	ჩიხურა
ნაჭყეპია, კედელაშვილი, გვაძაბია, დავითნიძე, მჭედლიშვილი (ჩხეტიანი 57), კაიდარაშვილი (ბაკლავა 63), დეკანოსიძე, დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 69), სევასტოპულო, შონია, სილაგავა	გუგუნავა, ო. ჭილლაძე (ი. ჭილლაძე 69), გუჯაბიძე, გოგიტიძე, გ. ჩხაიძე, თურმანიძე, ჩომახიძე (ცერცვაძე 65), სტეფანიშვილი, ილურიძე, ხაჭაპურიძე (ლომინაშვილი 46), გოდერძიშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე	მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

გაფრთხილება: ჩხაიძე (6), კაიდარაშვილი (22), წინამძღვრიშვილი (85)

მსაჯი: მერაბ მალაღურაძე (თბილისი)

ძველებური შეხვერდილი

ეს თამაში ახლახან არ იყო?

შაბათს, გლდანში, „ამერის" სკოლის სტადიონზე მისულმა გულშემატკივრებმა, რომელთაგან ასიოდე კაცს სულაც ფეხზე მდგომს მოუხდა თამაშის ყურება, რადგან პატარა ტრიბუნამ ყველა ვერ დაიტია, ის „ამერი" ნახა, სეზონის დასაწყისში რომ იყო და მონატრებული „ეს სულ ასე უბერავს", ოთხჯერ მოისმინა.

ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე „ამერს" პირველი ლიგის ფავორიტად თვლიდნენ, სეზონის პირველ მატჩებში კი ეს ვარაუდი განმტკიცდა — გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო და ბურთების შეფარდებაც საარაკო ჰქონდა — 17:0. მაგრამ მერე რაღაც მოხდა და „ამერმა" ზედიზედ სამი თამაში წააგო, რასაც, ბუნებრივია, ცხრილში დაქვეითებაც მოჰყვა.

სეზონის წინ „ჩიხურაც" ამბიციური გუნდი ჩანდა, თუნდაც შემადგენლობაში გამოცდილი ფეხბურთელების სიმრავლის გამო, მაგრამ ტური ტურს მისდევს, საჩხერლები კი ცხრილის ქვედა ნაწილს ვერ ასცდნენ.

თავში ვთქვით, სტადიონზე მისულმა ხალხმა ისევ ის „ამერი" ნახაო. შეგვიძლია ასეც ვთქვათ: შაბათის მატჩი ძალიან ჰგავდა ამ გუნდების თვენახევრისწინანდელ სათასო მატჩს — ისევე, როგორც მაშინ, ახლაც „ამერი" სოლიდური ანგარიშით დაწინაურდა, მერე მოეშვა და მეტოქეს ერთი ბურთის გატანის საშუალება მისცა. საჩხერელთაგან გოლი, ისევე როგორც თვენახევრის წინ, დავით გოდერძიშვილმა შეაგდო და ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით 4:1 დასრულდა.

ისიც ვთქვათ, რომ „ჩიხურამ" იმავე შემადგენლობით ითამაშა, რომელიც „ამერთან" თასის მეთექვსმეტედფინალში ჰყავდა, მასპინძელთა შემადგენლობაში კი ორი ცვლილება იყო — ვახტანგ ხვადაგიანი დისკვალიფიკაციის, ხოლო გიორგი ელბაქიძე ტრავმის გამო არ თამაშობდნენ. ხვადაგიანის ნაცვლად ცენტრალური მცველის პოზიციაზე 16 წლის ზურაბ გვაძაბიამ ითამაშა, რომელიც პირველად იყო „ამერის" სასტარტო შემადგენლობაში და სავსებით დამაკმაყოფილებლად ითამაშა.

„ამერი" დავით სევასტოპულოს სწრაფი გოლით დაწინაურდა — საგოლე პასი სულიკო დავითაშვილმა გააკეთა. ამგვარმა დასაწყისმა მასპინძელთა ისედაც მონდომებული იერიშები კიდევ უფრო გაამწვავა და კონსტანტინე გუგუნავას კარში მომდევნო დარტყმა მეორე გოლით დასრულდა. ამჯერად ალექსანდრე კაიდარაშვილის ჩაწოდებულ კუთხურს გიორგი დავითნიძემ შეაგება თავი.

მე-14 წუთისთვის ორბურთიანმა სხვაობამ საჩხერლები გატეხა და პირველი ტაიმის დარჩენილ დროში მათ კიდევ ორი გოლი გაუშვეს. ორივე სევასტოპულომ გაიტანა, რითაც ჯამში ჰეთ თრიქი გამოუვიდა, სეზონის დაწყებიდან კი ექვსი გატანილი ბურთი დაუგროვდა.

ნამატჩევს „ამერის" მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა, შესვენებისას ფეხბურთელებს ვუთხარი, მეორე ტაიმში ისე ითამაშეთ, თითქოს ანგარიში 0:0 იყოსო. მაგრამ მიუხედავად მწვრთნელის დარიგებისა, მეორე ტაიმში მოედანზე გასულ ამერელებს ის მუხტი აღარ ჰქონდათ, რამაც შესვენებამდე ოთხი გოლი გაატანინა.

მასპინძელთა პასიურობამ სტუმრებს გააქტიურების საშუალება მისცა, რაც მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გოდერძიშვილის გოლში აისახა. ფორვარდის ძლიერად დარტყულ ბურთს რევაზ ნაჭყეპიამ თითები კი წაჰკრა, მაგრამ ბურთმა მიმართულება იმდენად არ შეიცვალა, კარს აცილებოდა.

ამ გოლების გარდა ბურთი სამჯერ ძელსაც მოხვდა — ორჯერ ამერელთა, ერთხელ კი საჩხერელთა დარტყმების მერე.

გიორგი ვაშაკიძე

ცხინვალი 2:1 საგარეჯო

გორჯომი	8	7	0	1	22:9	21
სპარტაკი	8	5	3	0	13:5	18
ვიტ ჯორჯია	8	5	1	2	16:5	16
ამერი	8	5	0	3	22:6	15
კახეთი	8	5	0	3	16:15	15
დინამო 2	8	4	1	3	16:14	13
მერანი	7	4	0	3	13:13	12
ცხინვალი	8	3	3	2	14:12	12
ივერია	7	2	4	1	5:6	10
ოლიმპი	8	2	2	4	8:10	8
გურია	8	2	2	4	8:12	8
ჩიხურა	8	2	2	4	6:11	8
რუსთავი	8	2	1	5	11:14	7
ლოკომოტივი 2	8	1	3	4	4:17	6
საგარეჯო	8	1	1	6	6:22	4
მაღაროელი	8	0	3	5	3:12	3

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა



REUTERS სკოპიედან

დირტ კუიტის გოლით ჰოლანდიელები კი დაწინაურდნენ, მაგრამ ორი ქულა მაინც მაკედონიაში დატოვეს

პასუხი და კიდევ პასუხი

შეთ ასე მშვენივრად. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენთვის დიადი დღე იყო“ — ეს სიტყვები მატჩის შემდეგ მაკედონიელთა თავკაცმა დრაგან კანატლაროვსკიმ წარმოთქვა.

ევრო 2004-ის ნახევარფინალისტმა, ჰოლანდიის ნაკრებმა ჯერ სახიფათო მომენტი შექმნა, რაც კერძოდ პიერ ვან ჰოიდონკმა გააკეთა, ხოლო შემდეგ, 43-ე წუთზე ანგარიშიც გახსნა — ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე მაკედონიელმა მეკარემ იანე ნიკოლოვსკიმ ვილფრედ ბოუმას მხრიდან შევიწროვებას ვერ გაუძლო და ვესლი სნაიდერის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავის კარში შეაგდო.

მაგრამ მასპინძლებმა ტაიმის დასრულებამდე მიანც მოასწრეს ანგარიშის გათანაბრება — ასე სტოიკოვის დარტყმული და ასხლეტილი გორან პანდევმა შეაგდო მეტოქის კარში.

შემდეგ, მეორე ტაიმის შუაში, ჰოლანდიელები ისევ დაწინაურდნენ. ის ასე მოხდა: ნიკოლოვსკიმ ნაიჯელ დე იონგის თავური მოიგერია, მაგრამ დირკ კუიტმა დაამატა და შეაგდო, თუმცა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არც ეს გოლი გამოდგა ამ შეხვედრაში ბოლო — პანდევმა სტოიკოვს მიაწოდა, ხოლო მან ნარინჯისფერთი მეკარე, ედვინ ვან დერ სარი მოატყუა და ბურთი ბადეში ახლო ძელთან შეაგდო.

„ანგარიშით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ მაკედონიელები ძალიან ძლიერი მეტოქეები გამოდგნენ, — განაცხადა მატჩის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა, — ჩვენ კი ცუდად ვითამაშეთ, პასები არ გვივარგოდა, მაშინ, როდესაც მეტოქემ ორჯერ დიდებული კონტრშეტევა გაათამაშა“.

REUTERS სკოპიედან

მარკო ვან ბასტენი

I ჯგუფი

მაკედონია 2:2 ჰოლანდია

0:1 ბუმა (43), 1:1 პანდევი (45), 1:2 კუიტი (66), 2:2 სტოიკოვი (69)

მაკედონია: ნიკოლოვსკი, კრსტევი, სედლოსკი, ი. მიტრესკი, ა. მიტრესკი, პანდევი, საკირი, სტოიკოვი (ბაიევსკი 75), ბოჟინოსკი, ვასოსკი, იანცევსკი (ტრაიანოვი 74)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ბულარუზი, დე იონგი, კოკუ (ვან დერ ვაარტი 60), ბუმა, ვან ბომელი (ლანძაატი 81), კასტელენი, დავიდსი, ვან ჰოიდონკი (მაკაი 60), სნეიდერი, კუიტი

ფინეთი 3:1 სომხეთი

1:0 კუკი (9), 2:0 ერიომენკო (28), 2:1 სარქისიანი (32), 3:1 კუკი (88)

ჩეხეთი 1:0 რუმინეთი

1:0 კოლერი (36პ)

ჩეხეთი: ჩეხი, ბოლფი, ჟირანეკი, უფფალუში, გალაშეკი, იანკულოვსკი, ვაშუჩეკი, როსიცკი (კოვაჩი 90), ბაროში (იაროშიკი 83), ჰაინცი (სიონკო 69), კოლერი

რუმინეთი: ლობონტი, ბარკაუანი (მოლდოვანი 46), იენჩი, რაცი, სტოიკანი, კოდრია, პეტრე (ჩერნატი 57), სოავა, მარიცა, მუტუ, პანჩუ (დიკა 75)

მაკედონია ორჯერ მარცხდებოდა ჰოლანდიასთან და ორივეჯერ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ჰოლანდიელთა ფლანგების გადაკეტვა გახლდათ. ეს შევძელით და ამიტომაც ვითამაშეთ ასე მშვენივრად. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენთვის დიადი დღე იყო“ — ეს სიტყვები მატჩის შემდეგ მაკედონიელთა თავკაცმა დრაგან კანატლაროვსკიმ წარმოთქვა.

პაპუნა კედია

ფინეთი	4	3	0	1	9:3	9
რუმინეთი	4	3	0	1	9:4	9
მაკედონია	3	1	1	1	6:4	4
ჰოლანდია	2	1	1	0	4:2	4
ჩეხეთი	2	1	0	1	1:2	3
ანდორა	2	0	0	2	1:8	0
სომხეთი	3	0	0	3	1:8	0

ლიხტენშტ ოინი

REUTERS ვადუციდან

ლიხტენშტაინელებმა საკუთარ საფეხბურთო ისტორიას დიდი ფურცელი შემატეს

III ჯგუფი

ლიხტენშტეინი 2:2 პორტუგალია

0:1 პაულეტა (23), 0:2 ჰასლერი (40ს.კ), 1:2 ბურგმაიერი (48), 2:2 ბეკი (76)

ლუქსემბურგი 0:4 რუსეთი

0:1 სიჩოვი (56), 0:2 არშავინი (62), 0:3, 0:4 სიჩოვი (69, 71)

სლოვაკეთი 4:1 ლატვია

0:1 ვერპაკოვსკისი (3), 1:1 ნემეტი (47), 2:1 რეიტერი (50), 3:1, 4:1 კარჰანი (56, 87)

ლიხტენშტაინმა საოცრება ჩაიდინა — მასთან შეხვედრაში პორტუგალია 2:0 დაწინაურდა, მან კი გაათანაბრა ანგარიში. ეს ამბავი ვადუცში მოხდა.

ასე და ამგვარად, ბოლო რვა წელიწადში ნაწვნევი 20 მარცხის შემდეგ ლიხტენშტაინელებმა ფრედ ითამაშეს და მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში პირველი ქულა ჩაიწერეს. ცნობისათვის: ამ 20 შეხვედრაში ლიხტენშტაინმა ოთხი გოლი გაიტანა და 84 გაუშვა.

ხსენებული შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრაში ლიხტენშტაინს სლოვაკეთმა 7:0 მოუგო. ბუნებრივია, დაახლოებით ამგვარ შედეგს ელოდნენ შაბათსაც, მითუფრო, როდესაც პირველი ტაიმი დასრულდა და ტაბლოზე 2:0 ეწერა პორტუგალიის სასარგებლოდ. სტუმართა გოლები 23-ე წუთზე პაულეტამ და შემდეგ მასპინძელმა დანიელ ჰასლერმა (თავის კარში) გაიტანეს.

მეორე ტაიმი რომ დაწყო, გავიდა თუ არა სამი წუთი ფრანც ბურგმაიერმა ერთი გოლის ხურდა დაუბრუნა, სტუმრებს ხოლო 76-ე წუთზე თომას ბეკმა მეორეც შეაგდო...

პაპუნა კედია

სლოვაკეთი	4	3	1	0	15:3	10
პორტუგალია	3	2	1	0	8:2	7
ესტონეთი	3	2	0	1	6:5	6
რუსეთი	2	1	1	0	5:1	4
ლატვია	3	1	0	2	5:9	3
ლიხტენშტეინი	3	0	1	2	3:11	1
ლუქსემბურგი	4	0	0	4	4:15	0

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდიური ლაშქრობა სტად დე ფრანსზე



რაიმონ დომენეკი

IV ჯგუფი

საფრანგეთი 0:0 ირლანდია

საფრანგეთი: ბარტეზი, გალასი, სკილაჩი, ჟივე, სილვესტრი, ვილტორდი, მავუბა, დაკური (დიარა 64), პირესი, სისე (გოვუ 82), ანრი

ირლანდია: გივენი, კარი, ოში, კანინგემი, ობრაიენი, ფინანი, როი კინი, დაფი, ილვეინი, რობი კინი, მორისონი (რიდი 40)

ისრაელი 2:2 შვეიცარია

1:0 ბენაიუნი (9), 1:1 ფრეი (26), 1:2 ფონლანტენი (34), 2:2 ბენაიუნი (49)

კვიპროსი 2:2 ფარერები

1:0 კონსტანტინუ (143), 1:1 ჰორგენსენი (22), 1:2 იაკობსენი (43), 2:2 ოკასი (82)

ფრანგებმა და ირლანდიელებმა „სტად დე ფრანსზე“ ფეხბურთის მოყვარულთათვის ყველაზე უსიამოვნო ანგარიშით 0:0 დაასრულეს თავიანთი მატჩი, მაგრამ როგორც ნამატჩევს გაირკვა ლურჯების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი კმაყოფილი დარჩენილა.

„ყველაზე მეტად ის მესიამოვნა, რომ დღეს საფრანგეთის ნაკრების შესრულებით ისრაელთან ნაჩვენებ ფეხბურთზე გაცილებით უკეთესი რამ ვნახეთ“ — ბრძანა დომენეკმა.

არადა, მეტი ხნის განმავლობაში უპირატესობას ირლანდიელები ფლობდნენ და რომ არა ფაბიენ ბარტეზის ჩინებული თამაში ფრანგებს იქნებ წაეგოთ კიდეც.

„ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ, რასაც დრო სჭირდება და პროგრესი მატჩიდან მატჩამდე უნდა იგრძნობოდეს. დღეს ჩვენ გოლი არ გაგვიშვია, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანია“ — დასძინა მწვრთნელმა.

ფაბიენ ბარტეზმა საფრანგეთი რამდენჯერმე გადაარჩინა

შემდეგ ჟურნალისტები ჩაეძიენ. კერძოდ, მათ აინტერესებდათ დომენეკის აზრით რა გააკეთა საფრანგეთის ნაკრებმა სწორად, ისე, რომ ასეთი კმაყოფილების საბაბად ქცეულიყო, თუმცა პასუხი ვერ მიიღეს.

„ამის დეტალურ გარჩევას არ ვაპირებ. არ მინდა გამოვყო რომელიმე მოთამაშე ან მოთამაშეთა ჯგუფი. მე გესაუბრებით ჩემს ზოგად, ერთიან გრძნობაზე“ — ბრძანა ტაქტიკოსმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ნაკრებმა ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა, ხოლო წინა შეხვედრაში, ისრაელთან ასევე ფრედ, 0:0 ითამაშა.

დომენეკი: „ირლანდიელები ჩვენამდეც ჩინებული შედეგით მოვიდნენ. მათ ორჯერ სტუმრად ფრედ ითამაშეს, ხოლო შინ მოიგეს, მაგრამ ჯერ მაინც ყველაფერი წინ არის. ერთი სიტყვით, ქულების და თამაშების ანგარიშს ჯერ არ ვაპირებ. მხოლოდ ის ვიცი, რომ დღევანდელ ტურში ჩვენი ჯგუფის ყველა თამაში ფრედ დასრულდა. ახლა კვიპროსზე გავემგზავრებით და საკუთარ თავს დიდი ბრძოლისთვის განვაწყობთ“.

ირლანდიის ნაკრების თავკაცი ბრაიან კერი: „რომ არ დაგიმალოთ მცირედ გულდაწყვეტილები კი ვართ, მაგრამ ამ ეტაპზე ორი ფრე სტუმრად სრულიად დამაკმაყოფილებელი შედეგია. უკლებლივ ყველა, ვინც დღეს მოედანზე გავიდა, შეი გივენით დაწყებული რობი კინითა და ენდი რეიდით დამთავრებული, ბრწყინვალე იყო. ჯონ ოშეას და რობი კინს გოლის გატანის დიდებული შანსებიც ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც უნდა ითქვას, რომ შედეგი სამართლიანი გამოვიდა“.

კერმა განაცხადა, რომ ირლანდიელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანა ტიერი ანრისა და რობერ პირესის შეჩერება იყო — და ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი სტივენ კერმა და სტივ ფინანმა ითამაშეს.

„გარდა ამისა, დიდი როლი ითამაშეს ქომაგებმაც. დღეს „სტად დე ფრანსის“ ტრიბუნიდან 35 ათასი ირლანდიელი გვიჭერდა მხარს“.

პაპუნა ქედია

შვეიცარია	3	1	2	0	9:3	5
ირლანდია	3	1	2	0	4:1	5
საფრანგეთი	3	1	2	0	2:0	5
ისრაელი	3	1	2	0	4:3	5
კვიპროსი	3	0	1	2	3:7	1
ფარერები	3	0	1	2	2:10	1

ბექჰემის ძველებური

VI ჯგუფი

ინგლისი 2:0 უელსი

1:0 ლამპარდი (4), 2:0 ბექჰემი (76)

ინგლისი: რობინსონი, გ. ნევილი, კემპბელი, ფერდინანდი, ე. კოული, ბექჰემი (ჰარგრივსი 85), ბატი, ლამპარდი, დეფო (სმიტი 70), ოუენი, რუნი (კინგი 86)

უელსი: ჯონსი, დელანი, გაბილდონი, მელვინი, პემბრიჯი (რობინსონი 59), ტეტჩერი, დევისი, გიგზი, სპიდი, ბელამი, ჰართსონი

ავსტრია 1:3 პოლონეთი

0:1 კალუჟნი (11), 1:1 შოპი (30), 1:2 კრჟინოვეკი (81), 1:3 ფრანკოვსკი (90)

აზერბაიჯანი 0:0 ჩრდ. ირლანდია

ინგლისმა აჯობა უელსს დიდ ბრიტანულ თამაშში შაბათ შუადღით, „ოლდ ტრეფორდზე“ და ორი მშრალი გოლი გაუტანა, თამაშის მშვენება კი იყო დევიდ ბექჰემის გოლი, ზუსტად ისეთი, როგორებიც მაშინ გაქონდა ბექჰემს, როცა „ოლდ ტრეფორდზე“ თამაშობდა: 25 იარდიდან დაკრული, თუ დახვეული ბურთი, სტინგერის რაკეტასავით შევარდა მეკარისაგან მარცხენა ცხრიანში.

დევიდ ბექჰემმა თავისებური გაიხსენა

სხვაფრივ კი, პირველი დაწყობილი შეტევა ინგლისელებს 4-ე წუთზე გამოუვიდათ და ფრენკ ლამპარდის ჩვეული, საჯარიმოს პირიდან გაშვებული ბურთი, დაბალი რიკოშეტით შევარდა კუთხეში.

უელსელთა მეკარე პოლ ჯონსი ნაღდად შეუდარებელი იყო, იმიტომ, რომ დაცვა ვერ ერეოდა მადრიდში გაბრაზებულ მაიკლ ოუენსა და მოქოქილ უეინ რუნის. ამიტომაც სწორედ მეკარე დადგა მაგრად.

ინგლისი ლაღად და თავისუფლად და მოსაწონად თამაშობდა, ტაქტიკაც მორგებული ჰქონდა. უელსელთა ისედაც ტრავმებით ტანჯულ გუნდს მოთელვაზე ენდი მელვილიც გამოაკლდა. თამაში იმგვარი იყო, რომ ბექჰემიც კი წარამარა ურტყამდა კარში. მან იმდენჯერ დაარტყა რომ გოლი მთელ თავის სანაკრებო სეზონს გადააჭარბა ამ დარტყმათა ოდენობით სწორედ უელსთან მატჩში.

უელსელები იბრძოდნენ. ინგლისელთა კარში იდგა პოლ რობინსონი, კაპიტან გარი სპიდს კი მისი წახდება შეეძლო თავურით, რომელიც რაიან გიგზის ჯარიმას მოჰყვა და ინგლისელთა მეკარეს ხელებასშუა გაუძვრა. სპიდს ერთხელაც შეეძლო გატანა, ოღონდაც იღბალმა ზურგი აქცია. ინგლისი კი მთლიანობაში თვალში საცემად უკეთესი იყო. თუმცა, კრეიგ ბელამის ყველაზე კარგი შანსი ჰქონდა.

ახლა ინგლისელები აზერბაიჯანს მოემგზავრებიან და სამწუხარო ისა აქვთ, რომ ბექჰემს ნეკნი გაუტყდა ბენ ტეტჩერთან საჰაერო ბრძოლას, რომელშიც სულელურად ჩაება. იმავ ბექჰემმა ყვითელიც მიიღო, იმავ ტეტჩერის წაქცევისთვის, თუმცა, არც ერთი ეს ამბავი მის ბაქოში დასვენებას არ გამოიწვევს.

უელსელთა მენეჯერი მარკ ჰიუზი კი, რომელიც სულ მალე გამოეთხოვება ნაკრებს, რომელიც თავად შექმნა და პოპულარულ გუნდად აქცია, გულნატკენი იყო: „ცუდი სტარტია. ამ თამაშიც ყველაფერი უიღბლოდ აეწყო. მელვინი სასტვენამდე დაგვემტვრა. გოლი დასაწყისში გავუშვით. ყველას შეეძლო ხელი დაექნია, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე ითამაშეს. ამიტომ მათ ვმადლობ. ინგლისი ალბათ ყველას მოუგებს, ჩვენ კი მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ“.

ირაკლი გამყრელიძე

ინგლისი	3	2	1	0	6:3	7
პოლონეთი	3	2	0	1	7:3	6
ავსტრია	3	1	1	1	5:5	4
უელსი	3	0	2	1	3:5	2
აზერბაიჯანი	3	0	2	1	1:3	2
ჩრდ. ირლანდია	3	0	2	1	2:5	2

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლო იტალიანო

შემთხვევითობა თუ?..

ფრანჩესკო ტოტის დაბრუნებას იტალიისთვის ხეირი არ დაუყრია

REUTERS

V ჯგუფი

სლოვენია 1:0 იტალია

1:0 სესარი (82)

სლოვენია: ბ. მავრიჩი, მ. მავრიჩი, კარიჩი (დედიჩი 70), ჩეხი (ლავრიჩი 87), კომაჩი, პოკორნი, შუკალო, სესლარი, აჩიმოვიჩი, შილიაკი, მუიკანოვიჩი (სესარი 76)

იტალია: ბუფონი, ბონერა, კანავარო, ნესტა, ძამბროტა, გატუზო, დეროსი, კამორანეზი (დი ვაიო 82), ესპოზიტო (ფიორე 70), ტოტი, ჯილარდინო (ტონი 72)

ბელარუსი 4:0 მოლდოვა

1:0 ომელიანჩუკი (43), 2:0 კუტუზოვი (64), 3:0 ბულიგა (76), 4:0 რომაშჩენკო (90)

შოტლანდია 0:1 ნორვეგია

0:1 ივერსენი (55პ)

მარჩელო ლიპი:

„სლოვენიას მეორე ტაიმში ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდა და გაიტანა... თუმცა, გუნდმა დიდებულად ითამაშა და დამარცხებას ნამდვილად არ იმსახურებდა. საუბედუროდ ასეთი რამ ხდება ხოლმე ფეხბურთში“.

მაშ ასე, იტალიის ნაკრების ახალ მწვრთნელს ხეირი არც ფრანჩესკო ტოტის დაბრუნებამ მოუტანა და არც მაურო ესპოზიტოს დებიუტმა. სხვა ამბავია, რომ „იუვენტუსის“ ყოფილი თავკაცი ვინმესკენ თითის გაშვერას ერიდება: „ცალკეული ფეხბურთელების კომენტირებას ნამდვილად არ ვაპირებ, რადგან მთელმა გუნდმა ერთსულოვნად ითამაშა და ერთადერთი რაც მოხდა, გოლი ვერ გაიტანა. სანამ იმაზე ვილაპარაკებდე თუ რას შევცვლი ბელარუსთან, სიტუაციაში უნდა გავერკვე. ერთი კი ცხადია, ის მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ“.

მაშ ასე, ოთხშაბათს იტალიელები პარმაში ბელარუსს მასპინძლობენ. ეს კი ის ბელარუსია, რომელმაც სწორედ იმ დღეს, როდესაც იტალიელები სლოვენებთან მარცხდებოდნენ, მოლდოვას 4:0 მოუგო.

მაურო ესპოზიტოს კი სანაკრებო დებიუტი მაინც და მაინც იღბლიანი არ გამოადგა,

„ის თამაში წავაგეთ, რომელშიც ერთი ქულის მოპოვებას მაინც ვიმსახურებდით“ — დაიჩივლა „კალიარის“ ნახევარმცველმა.

სხვათაშორის, ესპოზიტომ შეცვლის წინ კინაღამ გოლი გაიტანა — მისი დარტყმული სლოვენთა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

„სამწუხაროა, ჩემი დარტყმული კარში რომ არ გავიდა, მინდოდა ძლიერად დამერტყა ახლო ძელთან, მაგრამ კუთხე მეტისმეტად გავამახვილე და სწორედ ეს გახლდათ იმ მომენტში ჩემი შეცდომა“.

ფაბიო კანავარომ კი კრიტიკოსებს სთხოვა ამ ერთი წაგების გამო მაინც და მაინც ნუ გაგვკიცხავთო.

„გასახდელში ლიპიმ შეგვაქო და თამაშისთვის მადლობა გვითხრა, — განაცხადა „სკუადრა აძურას“ კაპიტანმა, — და თუ ანგარიშს არ გავითვალისწინებთ, ძალიან კარგად ვითამაშეთ. მგონი ახალგაზრდა ფეხბურთელებს ჩვენი გუნდის თამაშში ახალი სიო შემოაქვთ და ამიტომაც ყველანი ერთად უფრო თავდადებულები ვჩანვართ“.

ამ გაუგებარ მარცხზე თავისი აზრი გამოთქვა იტალიის ნაკრების დირექტორმა, წარსულში დიდმა ვარსკვლავმა ლუიჯი რივამაც.

„მესმოდა რას ეუბნებოდა ლიპი გუნდს გასახდელში. ვფიქრობ მას ანგარიშის კონტროლი უნდოდა, მაგრამ გოლი ისეთი რამ არის, რომ თანაბარი თამაშის დროს შეიძლება აქეთ კარშიც გავიდეს და იქით კარშიც. თამაშის მიხედვით სამართლიანი ფრე იქნებოდა. ახლა ბელარუსთან მოგებით დაუყოვნებლივ უნდა შევცვალოთ ვითარება.“

პაპუნა ძედია

სლოვენია	3	2	1	0	4:0	7
იტალია	3	2	0	1	3:2	6
ბელარუსი	2	1	1	0	5:1	4
ნორვეგია	3	1	1	1	3:3	4
შოტლანდია	2	0	1	1	0:1	1
მოლდოვა	3	0	0	3	0:8	0

REUTERS

ფაბიო კანავარო უიმედოდ მაინც არ არის

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

რაულის ორმოცი ბელგიასთან

VII ჯგუფი

ესპანეთი 2:0 ბელგია

1:0 ლუკე (59), 2:0 რაული (64)

ესპანეთი: კასილიასი, სალგადო, მარჩენა, პუიოლი, დელ ორნო, ალბელდა (ხაბი ალონსო 56), ხავი (ბარახა 74), ხოაკინი, რეიესი, ტორესი (ლუკე 53), რაული

ბელგია: ჰეერსმანი, დეფლანდრი, ვან ბუიტენი, დეშახტი, კლემანი, გოორი, ბისკონტი (დოლი 59), კომპანი, სონკი, ბუფელი (დუფერი 74), მბო მპეზა (ჰუისეგემსი 74)

ლუის არაგონესის ესპანეთის ნაკრებმა საერთაშორისო სარბიელს, თავისი პირველი ოფიციალური გამარჯვება იზეიმა — კასტილიელებმა კვირას სანტანდერულ „ელ სარდინეროზე“ ემე ანტუნესის ბელგიას უმასპინძლეს და ლუკესა და რაულის გოლებით ფლანდრიელი მომხვდურები 2:0 დაამარცხეს. თუმც, მიუხედავად საშინაო ფიესტისა, იქაურ არენაზე თავმოყრილ 20 ათას გულშემატკივარს დიდ სიხარულს ვერ შეატყობდით — ლუისის შეგირდებმა მშობლიურ ინჩადას ეგზომ ნანატრი ძლიერი ბურთაობა კვლავაც ვერ უჩვენეს, ხოლო სტუმართა გუნდმა მაყურებელს თავი ძირითადად მეტოქეზე უხეში თავდასხმებით „მოაწონეს“. კიმ მილტონ ნილსენის მიერ წითელი ბარათებით დაჯილდოებული დეფლანდრი და ბარეტ გოორი სერბიასთან მომავალ შეხვედრას თვალყურს ტრიბუნებიდან მიადევნებენ.

„ელ სარდინეროს“ შეხვედრა ორმხრივი შეტევებით დაიწყო — ბელგთა ჰეერსმანს გასატანად მასპინძლების ფერნანდო ტორესმა მიაკითხა, ხოლო იკერ კასილიასის საჯარიმო მბო მპენზამ და ვინსენ კომპანიმ მოინახულეს. მატჩის დებიუტი თითქოს ლამაზი და დაძაბული ბურთაობის მომასწავებელი იყო.მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოვლენები სხვანაირად წარიმართა. ესპანელებმა რატომღაც თავდაპირველი ჩქარი ტემპი დაივიწყეს, ანტუნესის მოწაფეებს კი 29-ე წუთზე დეფანდის ხსენებულ ბარათთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნათ და იძულებულნი გახდნენ, თამაში სხვა ტაქტიკაზე გადაეწყოთ. ბელგიელები წარმატების მიღწევას მეტოქის მისადგომებისკენ შორეული ჩაწოდებებით ცდილობდნენ მაშინ, როცა არაგონესის არმადა არსენალელი რეიესისა და „ბეტისის“ ხოაკიმის მეთაურობით პეერსმანის კარის გასაღებს უშედეგოდ დაეძებდა.

უგოლო პირველი ტაიმის მერე სიტუაცია მცირედ გამოაცოცხლა — ბარსელონელმა ხავიმ მატჩის მეორე ნახევარში კარგად დაამტკიცა, რომ არა მარტო მოედნის ცენტრში პასის რიგიანად განაწილება, არამედ მოწინააღმდეგის გოლკიპერთა შეწუხებაც მშვენივრად ძალუძს. ანტაენესის ბიჭები მასპინძელთა შემართებას მკვეთრად ჩამორჩებიან, რცა ესპანელთა სწრაფ გოლშიც აისახა — 59-ე წუთზე ხოსე ანტონიო რეიესი გალისიელ ლუკეს საჭირო გადაცემით ამარაგებს და ეს უკანასკნელიც კომპანის შეცდომის შემდგომ „ელ სარდინეროს“ ნაგვიანებ ბედნიერებას უძღვნის — 1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ.



REUTERS სანტანდერიდან

ორი გოლი, ორი მეგოლე: ლუკე და რაული

გავიდა რამდენიმე წუთი და ინჩასები უკვე ნაკრების კაპიტანმა რაულმა გაახარა — მიჩელ სალგადოს ჩაწოდებას „რეალისა“ და ეროვნული გუნდის ლიდერმა აუღებელი თავური დაჰკრა. ასე გახდა 63-ე წუთზე ანგარიში 2:0. ამ შეხვედრაში გატანილი გოლის ჩათვლით რაულმა კასტილიელთა მთავარგუნდის შემადგენლობაში მეტოქის კარი მეორმოცეჯერ აიღო.

წაგების პერსპექტივამ სტუმრები ნერვიულ სტრესში ჩააგდო. მატჩის მიწურულს ბერეტ გოორი კატალონიელ ხავის ეუხეშა და არბიტრმა ნილსენმაც საწითელბარათოდ ჯიბეზე გაიკრა ხელი. რიცხოვბრივი უპირატესობის მიუხედავად, არაგონესის შეგირდებმა პეერსმანის დაჩაგვრა მეტად ვეღარ შეძლეს. „სამი გოლის აღება რა თქმა უნდა, ცუდი არ არის, თუმც ნაკრების თამაშში გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა, რის გამოსწორებას სამომავლოდ ვეცდებით“ — აღნიშნა ლუის არაგონესმა.

ლადო ხომერიკი

უგოლო ომი

ბოსნია 0:0 სერბეთი

ბოსნია: ტოლია, სპახიჩი, პაპაჩი (ჩერნოგორაცი 78), გრლიჩი, მისიმოვიჩი, ბაიჩი (ჰრგოვიცი 60), ბლატნიაკი, ბარბარესი, ბესლია, ბოლიჩი, ბალიჩი (სანტოსი 78)

სერბეთი: ევრიჩი, დრაგუტინოვიჩი, დულიაი, გავრანჩიჩი, კორომანი (ბრნოვიჩი 90), ვუკიჩი, ჯორჯევიჩი (მირკოვიჩი 55), კრსტაიჩი, მილოშევიჩი (პანტელიჩი 77), სტანკოვიჩი

სარაევოში ბოსნიელთა და ყოფილ იუგოსლავიელთა, კერძოდ, სერბთა და ჩერნიგორიელთა შეხვედრა უკიდურესად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა და 0:0 დასრულდა. სტადიონზე უსაფრთხოების ზომები არნახულად იყო დაცული. ბოსნიის ხელისუფლებამ ყველა ღონე იხმარა რათა ეს ადამიანები მასპინძელი ქომაგებისგან დაეშორებინა და არც მოედანზე სხვადასხვა საგნების სროლის საშუალება ჰქონოდათ. მიზეზს დიდი შეხსენებაც არ სჭირდება — ამ ორმა ქვეყანამ 1992-95 წლებში ერთმანეთში იომა.

ბოსნიელებს არ ჰყავდათ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი, მაგრამ მაინც უპირატესობას ფლობდნენ. სერბ მეკარეს, დრაგოსლავ იერვიჩს, ელვირ ბალიჩის, ელვირ ბოლიჩის და ივიცა გრლიჩის დარტყმების მოგერიება მოუხდა და საერთოდაც, ტრადიციულად ძლიერ სტუმრებს 32 ათასი ქომაგის მხარდაჭერით ფრთაშესხმულ საკმაოდ გაძლიერებულ ბოსნიელებთან მოუწიათ საქმის დაჭერა.

REUTERS სარაევოდან

მატჩამდე სერბმა ქომაგებმა ბოსნიური ხელკეტები იგემეს

სტუმრთაგან აღსანიშნავი იყო კაპიტნის, სავო მილოშევიჩის ტრადიციულზე ცუდი თამაში (სხვათა შორის ეს მილოშევიჩის 86-ე მატჩი გახლდათ ნაკრების შემადგენლობაში), კერძოდ ის, რომ პირველად კარში 52-ე წუთამდე ვერ დაარტყა, ხოლო დეიან სტანკოვიჩის დარტყმული მოედნის შუიდან, ხარიხას ოდნავ გადაცდა.

„ჩვენ უნდა მოგვეგო, რადგან მეტი მომენტი შევქმენით — განაცხადა მატჩის შემდეგ ბოსნიელების შემტევმა ნახევარმცველმა ელივირ ბალიჩმა, რომელიც მარცხენა ფრთიდან მთელი მატჩის განმავლობაში უქმნიდა სტუმრებს საფრთხეს — და მაინც, მე თუ მკითხავთ დღეს უფრო ქულა მოვიგეთ ვიდრე ორი დავკარგეთ“.

ცნობისათვის, ბოსნიელებს ხუთი თამაშია არ წაუგიათ.

ყველაზე დიდი შიში კი მასპინძლებმა 82-ე წუთზე სჭამეს, როდესაც უმეთვალყურეოდ დატოვებულმა სერბმა ზვონიმირ ვუკიჩმა ხუთი მეტრიდან დაარტყა თავური, მაგრამ ბურთი პირდაპირ მეკარე ალამირ ტოლიას მოარტყა.



REUTERS სარაევოდან

ბოსნიელი მისრად ბესლია სერბ დეიან სტანკოვიჩს ტოლს არ უდებდა

სერბეთ ჩერნიგორიის ნაკრების მწვრთნელი ილა პეტკოვიჩი: „ძალიან მძიმე თამაში გამოვიდა. ასეთ დროს სანახაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აქ მოპოვებული ერთი ქულით კმაყოფილი ვარ, თუმცა თამაშის მიწურულს ვუკიჩს ცოტა რომ გამართლებოდა სამ ქულასაც კი მოვიპოვებით“.

VIII ჯგუფი

შვედეთი 3:0 უნგრეთი

1:0 ლიუნგბერგი (26), 2:0 ლარსონი (49), 3:0 ა. სვენსონი (66)

ხორვატია 2:2 ბულგარეთი

1:0, 2:0 სრნა (16, 32პ), 2:1 პეტროვი (78), 2:2 ბერბატოვი (87)

მალტა 0:0 ისლანდია

პაპუნა ქედია

ლიტვა	2	1	1	0	5:1	4
სერბეთი	2	1	1	0	3:0	4
ესპანეთი	2	1	1	0	3:1	4
ბოსნია	2	0	2	0	1:1	2
ბელგია	2	0	1	1	1:3	1
სან მარინო	2	0	0	2	0:7	0

ხორვატია	3	2	1	0	6:2	7
შვედეთი	3	2	0	1	10:1	6
ბულგარეთი	2	1	1	0	5:3	4
უნგრეთი	3	1	0	2	3:8	3
ისლანდია	3	0	1	2	3:6	1
მალტა	2	0	1	1	0:7	1

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

პეკერმანის ახალი არგენტინა

არგენტინა 4:2 ურუგვაი

1:0 ლუის გონსალესი (6), 2:0 ფიგეროა (32), 3:0 ძანეტი (45), 4:0 ფიგეროა (54), 4:1 როდრიგესი (63), 4:2 ჩევანტონი (87)

ვენესუელა 2:5 ბრაზილია

0:1, 0:2 კაკა (7, 34), 0:3, 0:4 რონალდო (48, 53), 0:5 ადრიანო (75), 1:5, 2:5 მორანი (79,90)

ბოლივია 1:0 პერუ

1:0 ბოტერო (56)

კოლუმბია 1:1 პარაგვაი

1:0 გრისალესი (17), 1:1 ტორესი (76)

ეკვადორი — ჩილე წუხელ გვიან გაიმართა

არგენტინამ და ბრაზილიამ იოლად გაიარეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეკვატორზე შეხვედრილი თამაშები, პირველმა ურუგვაელებს მოუგო 4:2, ისე რომ თავიდან 4 ბურთით უგებდა, მეორეებმა კი ვენესუელელები დაამარცხეს ისე, რომ თავიდან 5 ბურთით უგებდნენ.

არგენტინას ახალი მწვრთნელი ჰყავს, ახალგაზრდული ნაკრების დიდი აღმზრდელი ხოსე პეკერმანი, რომლისთვისაც დებიუტი საუცხოო გამოდგა. არგენტინამ ისეთი ფეხბურთი ითამაშა, ყველას რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ დავიწყებოდა. ხუან რომან რიკელმეს ნაკრებში დაბრუნებამ და კლდესავით დაცვამ არგენტინელთა თამაშს აქამდელი სიმძიმე მოაშორა და ის ძველი, ფეთქებადი სტილიც გამოაჩინა, ასე საამოდ საცქერი რომ არის. თავად პეკერმანი თავიდან თურმე ცოტას ღელავდა, ასეთი სამსახური ადრე არასოდეს მქონიაო, მაგრამ ტრიბუნების მხარდაჭერამ და გუნდის საუცხოო თამაშმა მალევე დაამშვიდა. ურუგვაი ურიგო არ იყო, ოღონდაც არგენტინას წინ ვერაფერი დაუდგებოდა.

ალბათ, საერთოდ არ ღელავდა მარაკაიბოში კარლოს ალბერტო პარეირა, რადგან მისი გუნდი კაკას და რონალდოს წყვილ-წყვილი გოლებით, ყველაფერს იოლად აგვარებდა. უფრო ღელავდა თავად მაყურებელი, რომელმაც მეორე ტაიმში გადაწყვიტა, რომ ყოველი ყვითელსამოსიანი კაი ბიჭი ჩაეკოცნა. ასეთი რამ ორჯერ მოხდა, ანუ თამაში ორჯერ შეწყდა: ერთხელ რობერტო კარლოსი ჩაკოცნეს, მეორედ რონალდო. საერთოდ კი შედეგი მოულოდნელი ვერ იქნებოდა, ვენესუელას არასოდეს აურთმევია ქულა ბრაზილიისთვის.

სხვა თამაშებში ის იყო, რომ კოლუმბიამ ბევრი მომენტი გააფუჭა და ბარანკელიაში პარაგვაის ვერ მოუგო, სულ ბოლოში მყოფმა ბოლივიამ კი ლა პასში პერუელებს აჯობა და მაინც ბოლო ადგილზე დარჩა.

მსოფლიო ჩემპიონატის სამხრეთამერიკული შესარჩევი ტურნირის ნახევარი გაილია. ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ჩილე თავს ბევრად კარგად გრძნობენ, ვიდრე სხვები. პირველი ოთხეული პირდაპირ გავა მსოფლიო ჩემპიონატზე, მეხუთე ადგილისანი კი ოკეანის ჩემპიონს უნდა გაეჯიბროს.

ლუსიანო ფიგეროამ ურუგვაის ორი გოლი გაუტანა

REUTERS ბუენოს აირესიდან

ირაკლი გამყრელიძე

ბრაზილია	9	5	4	0	19:10	19
არგენტინა	9	5	3	1	18:9	18
პარაგვაი	9	4	3	2	11:9	15
ჩილე	8	3	3	2	9:7	12
ეკვადორი	8	3	1	4	8:8	10
ვენესუელა	9	3	1	5	8:13	10
ურუგვაი	9	3	1	5	15:23	10
კოლუმბია	9	2	3	4	11:11	9
პერუ	9	2	3	4	10:11	9
ბოლივია	9	3	0	6	11:19	9

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XI ტური

ბრაუნშვაიგი — კილი 1:0; დორტმუნდი (მ) — პადერბორნი 6:0; ქემნიცი — ჰამბურგი (მ) 0:1; მიუნსტერი — კიოლნი მ 4:1; ურდინგენი — ჰერტა მ 2:1; ლიუბეკი — ზანკტ პაული 2:0; ვერდერი (მ) — ოსნაბრიუკი 1:3; ვოლფსბურგი (მ) — ვუპერტალი 1:3

ჰამბურგი მ	11	8	1	2	19:11	25
ბრაუნშვაიგი	11	7	2	2	23:10	23
კილი	12	7	1	4	22:14	22
ურდინგენი	11	6	4	1	18:10	22
პადერბორნი	11	6	3	2	18:14	21
ლიუბეკი	12	6	2	4	18:13	20
დორტმუნდი მ	11	6	1	4	27:21	19
ოსნაბრიუკი	11	5	3	3	20:14	18
კიოლნი მ	12	5	2	5	19:21	17
ზტ. პაული	10	5	1	4	13:11	16
ვუპერტალი	12	4	4	4	14:18	16
მიუნსტერი	11	4	3	4	15:18	15
ვერდერი მ	11	4	2	5	16:19	14
არმინია მ	11	3	3	5	20:23	12
დიუსელდორფი	12	3	2	7	12:17	11
ჰერტა მ	12	3	2	7	16:23	11
უნიონი	11	2	1	8	11:19	7
ვოლფსბურგი მ	11	1	3	7	9:23	6
ქემნიცი	11	1	2	8	5:16	5

სამხრეთ რეგიონალლიგა

X ტური

ელვერსბერგი — მაინცი მ 3:0; ფულენდორფი — მიუნხენი (მ) 2:1; დარმშტადტი — ფოიხტი 0:1; ზიგენი — კიკერსი 0:0; აუგსბურგი — ვეჰენი 6:1; ჰოფენჰაიმი — რეგენსბურგი 5:1; აალენი — კობლენცი 0:6; ბაიერნი (მ) — ნოტინგენი 2:2; შტუტგარტი (მ) — ოფენბახი 1:2

ზიგენი	10	6	3	1	16:6	21
ოფენბახი	10	7	0	3	19:12	21
კობლენცი	10	6	2	2	25:10	20
ელვერსბერგი	10	5	3	2	18:13	18
ჰოფენჰაიმი	10	5	1	4	17:12	16
დარმშტადტი	10	5	1	4	15:10	16
აუგსბურგი	10	4	3	3	18:15	15
ბაიერნი მ	10	4	2	4	17:14	14
რეგენსბურგი	10	4	2	4	15:15	14
ვეჰენი	10	3	5	2	16:18	14
ფოიხტი	10	4	1	5	11:13	13
კიკერსი	10	3	3	4	12:13	12
მაინცი მ	10	3	3	4	11:13	12
მიუნხენი მ	10	4	0	6	11:15	12
ფულენდორფი	10	3	1	6	13:26	10
შტუტგარტი მ	10	2	3	5	13:17	9
ნოტინგენი	10	2	2	6	9:20	8
აალენი	10	2	1	7	10:24	7

იტალია

სერია B

V ტური

VII ტური. არეცო — კროტონე 3:0; ასკოლი — ვერონა 2:1; ბარი — ჯენოა 0:1; კატანია — ტრიესტინა 2:1; კატანძარო — სალერნიტანა 3:0; მოდენა — ვენეცია 1:0; ტორინო — პიაჩენცა 0:1; ტრევიზო — ტერნანა 3:1; ვიჩენცა — პესკარა 0:0

ემპოლი	6	5	1	0	14:6	16
ტორინო	7	5	0	2	12:6	15
ჯენოა	7	4	2	1	17:7	14
ალბინოლეფე	6	4	2	0	11:4	14
პერუჯა	6	3	3	0	9:4	12
პიაჩენცა	7	4	0	3	10:11	12
არეცო	7	3	2	2	15:10	11
კატანია	7	3	2	2	10:10	11
ასკოლი	7	3	2	2	8:9	11
ჩეზენა	6	3	1	2	6:4	10
მოდენა	7	3	1	3	7:6	10
ტრიესტინა	7	3	1	3	11:11	10
ვიჩენცა	7	3	1	3	11:12	10
კატანძარო	7	2	2	3	10:9	8
ვერონა	7	2	1	4	10:12	7
კროტონე	7	2	1	4	8:12	7
პესკარა	7	1	3	3	6:9	6
ტერნანა	7	1	3	3	6:11	6
ტრევიზო	7	1	2	4	6:11	5
ბარი	7	0	4	3	4:7	4
ვენეცია	7	1	1	5	5:12	4
სალერნიტანა	7	0	3	4	4:17	3

სერია C1\A

V ტური

V ტური. კომო — მონტოვა 2:1; კრემონეზე — ლუკეზე 1:3; ფანდრია — აჩირეალე 1:1; ფროზინონე — ტორესი 3:1; პისტოიეზე — ლუმეცანე 2:1; პრატო — პავია 0:3; სანჯოვანეზე — პრო პატრია 1:2; ვიტორია — გროსეტო 0:3;

პავია	5	4	0	1	7:2	12
კრემონეზე	5	4	0	1	10:7	12
ლუკეზე	5	3	1	1	11:8	10
პისტოიეზე	5	3	0	2	7:4	9
პრო პატრია	5	2	2	1	5:4	8
გროსეტო	5	2	1	2	5:2	7
სპეცია	4	2	1	1	8:6	7
პიზა	4	2	1	1	4:2	7
მონტოვა	5	2	1	2	5:5	7
ფანდრია	5	2	1	2	4:4	7
ფროზინონე	5	2	1	2	5:6	7
ნოვარა	4	1	2	1	5:4	5
სანჯოვანეზე	5	1	2	2	5:4	5
კომო	4	1	1	2	4:6	4
ტორესი	4	1	1	2	3:5	4
ვიტორია	5	1	1	3	3:7	4
ლუმეცანე	5	1	1	3	3:8	4
აჩირეალე	4	0	3	1	4:5	3
პრატო	4	0	0	4	3:12	0

სერია C1\B

V ტური

V ტური. აველინო — ჩიტადელა 2:0; კეტი — ჯულიანოვა 0:1; მარტინა — ფერმანა 1:0; პადოვა — ფოჯა 1:0; რეჯანა — ნაპოლი 2:0; რიმინი — სორა 4:2; სამბენედეტეზე — პეზარო 0:1; სპალ — ლანჩიანო 1:2; ტერამო — ბენევენტო 0:1

აველინო	5	4	0	1	10:4	12
რეჯანა	5	3	2	0	11:2	11
რიმინი	5	3	2	0	10:4	11
ლანჩიანო	5	3	0	2	9:9	9
სამბენედეტეზე	5	2	2	1	5:3	8
ბენევენტო	5	2	1	2	8:7	7
პადოვა	5	2	1	2	6:5	7
ნაპოლი	4	2	1	1	6:6	7
ფოჯა	5	2	1	2	5:5	7
სპალ	5	2	1	2	4:4	7
მარტინა	5	2	1	2	3:3	7
ტერამო	5	2	0	3	4:7	6
კეტი	5	1	2	2	2:3	5
ფერმანა	4	1	1	2	3:5	4
პეზარო	5	1	1	3	2:5	4
ჯულიანოვა	5	1	1	3	4:11	4
ჩიტადელა	5	0	3	2	5:9	3
სორა	5	1	0	4	4:9	3

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი

VIII ტური

ემენი — აპელდორნი 1:4; ვოლენდამი — ვეენდამი 2:0; ჰელმონდი — იგლსი 1:1; მაასტრიხტი — ეინდჰოვენი 3:1; ოსი — სპარტა 1:2; ჰაარლემი — ტელსტარი 2:1

ვოლენდამი	8	6	1	1	18:7	19
ჰაარლემი	8	6	0	2	21:8	18
ვენლო	6	5	1	0	18:5	16
ჰერაკლესი	7	5	1	1	11:4	16
სპარტა	7	3	3	1	12:10	12
ზვოლე	7	3	3	1	8:7	12
დოორდრეხტი	6	3	2	1	10:8	11
ექსელსიორი	8	3	1	4	13:12	10
აპელდორნი	7	3	0	4	13:14	9
სიტარდი	7	2	3	2	9:11	9
ოსი	8	3	0	5	13:19	9
ვეენდამი	7	2	2	3	12:11	8
მაასტრიხტი	8	2	2	4	10:12	8
იგლსი	8	2	2	4	8:14	8
ტელსტარი	8	1	3	4	10:14	6
ეინდჰოვენი	8	1	3	4	11:18	6
ჰელმონდი	7	1	3	3	6:13	6
კამბური	7	1	3	3	2:9	6
ემენი	8	0	3	5	9:18	3

ინგლისი

მეორე დივიზიონი

XII ტური

ბორნმუთი — სტოკპორტი 2:1; ლუთონი — ბარნსლეი 3:0; დონსი — ბრედფორდი 1:2; პორტ ვეილი — დონკასტერი 2:0; ბარნსლი — ბრენტფორდი 0:0; ტორკი — ჰადერსფილდი 2:1; უოლსოული — კოლჩესტერი 2:1; ჰალი — ჩესტერფილდი 1:0; ოლდჰამი — ბლეკპული 1:2

ლუთონი	12	10	2	0	24:10	32
ბრენტფორდი	12	7	2	3	18:16	23
ჰალი	12	7	1	4	16:14	22
ტრანმერი	11	5	5	1	14:8	20
კოლჩესტერი	12	6	1	5	21:15	19
ბრედფორდი	12	6	1	5	16:13	19
ბორნმუთი	12	5	3	4	21:16	18
ჩესტერფილდი	12	5	3	4	14:12	18
ჰადერსფილდი	12	5	2	5	20:16	17
სუინდონი	11	5	2	4	18:15	17
ჰარტლპული	12	5	2	5	19:20	17
უენსდი	11	4	4	3	15:14	16
პორტ ვეილი	12	5	1	6	17:18	16
რექსემი	10	4	3	3	10:11	15
დონკასტერი	12	4	3	5	13:20	15
ბარნსლი	12	3	5	4	14:14	14
ბრისტოლი	11	3	4	4	21:20	13
უოლსოული	12	3	4	5	18:23	13
პიტერბრო	11	3	3	5	13:13	12
ოლდჰამი	12	3	3	6	18:21	12
დონსი	12	3	3	6	15:20	12
ბლეკპული	11	2	4	5	13:19	10
ტორკი	12	2	4	6	12:20	10
სტოკპორტი	12	1	3	8	14:26	6

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

I ჯგუფი

კონგო 2:3 ზამბია
ლიბერია 0:3 სენეგალი
ტოგო 1:0 მალი

II ჯგუფი

უგანდა 0:1 სამხ. აფრიკა
განა 0:0 დრ. კონგო
კაბო ვერდე 1:0 ბურკინა ფასო

III ჯგუფი

ბენინი 0:1 კოტ დივუარი
სუდანი 1:1 კამერუნი

IV ჯგუფი

რუანდა 1:1 ალჟირი
ანგოლა 1:0 ზიმბაბვე
გაბონი 1:1 ნიგერია

V ჯგუფი

გვინეა 1:1 მაროკო
მალავი 2:2 ტუნისი
ბოსტვანა 2:1 კენია

მესამე დივიზიონი

XII ტური

ჩელტენემი — ჩესტერი 0:0; ნორთჰემპტონი — გრიმსბი 0:1; როჩდეილი — იოვილი 2:1; შრიუსბერი — რაშდენი 0:1; საუთენდი — ბოსტონი 2:1; სუონსი — მენსფილდი 1:0; სკანთორპი — უიკომბი 2:0; კემბრიჯი — როვერსი 1:0; ლეიტონი — ბერი 1:1; ლინკოლნი — კიდერმინსტერი 3:0; მაკლსფილდი — ნოტსი 1:2; ოქსფორდი — დარლინგტონი 1:2

სუონსი	12	7	2	3	12:6	23
სკანთორპი	12	6	4	2	19:11	22
იოვილი	12	6	3	3	22:16	21
ლეიტონი	12	5	5	2	17:15	20
უიკომბი	12	5	4	3	13:12	19
დარლინგტონი	12	4	6	2	14:7	18
მენსფილდი	12	5	3	4	19:14	18
გრიმსბი	12	5	2	5	15:10	17
მაკლსფილდი	12	5	2	5	16:14	17
როვერსი	12	4	5	3	13:11	17
ბოსტონი	12	4	5	3	15:14	17
საუთენდი	12	5	2	5	14:17	17
ბერი	12	4	4	4	20:18	16
რაშდენი	12	4	4	4	8:10	16
ოქსფორდი	12	4	4	4	11:14	16
ლინკოლნი	12	3	5	4	15:15	14
ნორთჰემპტონი	12	3	5	4	11:15	14
როჩდეილი	12	4	2	6	11:16	14
ნოტსი	12	3	4	5	12:12	13
კემბრიჯი	12	2	6	4	9:12	12
ჩელტენემი	12	2	6	4	8:11	12
ჩესტერი	12	2	6	4	8:16	12
შრიუსბერი	12	2	4	6	11:14	10
კიდერმინსტერი	12	2	3	7	5:18	9

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ამხანაგური მატჩი

REUTERS თეირანიდან

თეირანში საფეხბურთო მატჩებზე ქალების დასწრება, მართალია, აკრძალულია, მაგრამ გერმანიის საელჩოს თანამშრომლებმა წესი დაარღვიეს

ასი აზადზე
ასორმოცდაათიც გარეთ

ირანი 0:2 გერმანია

0:1 ერნსტი (5), 0:2 ბრდარიჩი (52)

ირანი: მირზაპული (რაჰმათი 63), კაბი (ბადავი 83), კოლმოჰამადი (ალავი 62), რეზაიე, მაჰდავიკია, ჯავიდი, ნიჰბატი (აზიზი 60), ქარიმი (ბორჰანი 77), ჰაშემიანი, ნოსრათი, მოფრადი

გერმანია: ლემანი, გიორლიტცი, ვიორნსი (მერტესაკერი 80), ჰუტი, ლამი, ერნსტი (შვაინსტაიგერი 87), დაისლერი (ბოროვსკი 78), ბალაკი, შნაიდერი (ჰიტცლშბერგერი 68), კლოზე (ასამოა 55), ბრდარიჩი (პოდოლსკი 72)

აგვისტოში სტუმრად ავსტრიელთა 3:1 ძლევის, ხოლო სექტემბერში შინ ბრაზილიასთან 1:1 ფრის შემდეგ იურგენ კლინსმანის განახლებული ბუნდესნაკრები ირანს ეწვია. მსოფლიოში მიმდინარე რაგინდარა მოვლენებისგან თვითიზოლირებულ ამ ქვეყანაში ფეხბურთი ძალიან რომ უყვარდათ, ეგ ისედაც ვიცოდით, მაგრამ გერმანელთა პირველი ვიზიტი იქ ასეთ აჟიოტაჟსა და ცხოველ ინტერესს თუ გამოიწვევდა, ეგ კი ძნელად წარმოსადგენი იყო. მარტო ის რად ღირს, რომ თეირანის აზადის სტადიონზე 110 ათასმა მოსეირემ მოიყარა თავი, ხოლო იმ 150 ათასმა, ვინაც ბილეთი ვერ იშოვა, სტადიონის გარედან უქომაგა თავიანთ, აზიური ეშხითა და ილათიანობით მოშუშპრავე ნიჭიერ გუნდს.

ოღონდ ტექნიკურ ირანელთა ჯიგრიანმა მცდელობამ მაინც ვერაფერი გააწყო გერმანელთა შესამჩნევად გაზრდილი მოტივირებულობისა და — რაც მთავარია — იენს ლემანის საარაკო მეკარეობის წინააღმდეგ. საფეხბურთო კეჭნაობის თვალსაზრისით უფრო მიმზიდველი პირველი ნახევარი გამოდგა — რაკიღა, იმის მიუხედავად, რომ უმალვე დაწინაურდნენ — ჭაბუკ გერმანელებს (განსაკუთრებით ჰუთსა და ლამს) მაინც უჭირდათ ასათასიანი გახელებული მილეთის თვალწინ აუღელვებლად ბურთაობა და ბევრსაც მიჰქარავდნენ, რითაც მასპინძლებს ლემანის კარზე მიძალების ერთი-მეორეზე საუკეთესო შანსები ეძლეოდათ.

თუმცა ეს მაინც მოგვიანებით იყო, მატჩი კი გერმანელთა იერიშებით დაიწყო და ფაბიან ერნსტმა მეხუთე წუთზე ბერნდ შნაიდერის მიერ მარცხნიდან ნაპასევ ბურთს ფეხი ისე მარჯვედ შეაგება, რომ პირველ სანაკრებო გოლს გამორჩა. მერე კი სებასტიან დაისლერმა გაიბრწყინა, რომელმაც ჯერ რამდენიმე ირანელი მცველი გააბითურა, მერე კი ნატიფი პასით მიროსლავ კლოზე მეკარის პირისპირ დატოვა. ამ უკანასკნელმა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვერ ივარგა.

ტაიმის ბოლო მესამედში კი ირანელები გახელდნენ და „არსენალის“ 34 წლის მეკარესაც ორსამჯერ დასტურ მოუხდა თავისი, ათას მოედანზე შეძენილი ოსტატობის დემონსტრირება.

შესვენების შემდეგ ისევ გერმანელები გააქტიურდნენ და 53 წუთზე უკვე ტომას ბრდარიჩმა დაბინავა ანდრეას გიორლიცის მიერ მარჯვნიდან საუცხოოდ ნაპასევი ბურთი. ამ გოლმა ირანელები გატეხა და კლინსმანსაც თამამად შეუშვა მოედანზე ყრმა გერმანელები, რომელთაც ბოლომდე მოღრიანცელე სტადიონზე გარჯით უძვირფასესი გამოცდილება მიიღეს.

ლევან კელაურაძე

ირანელი ვაჰიდ ჰაშემიანისა და გერმანელი კრისტიან ვიორნსის ორთაბრძოლა

მეკარეთა თეატრი
იურგენ კლინსმანმა ზეპ მაიერი დაიფრინა

გერმანიამ თეირანში ირანელებს 2:0 კი მოუგო და წესით ღამით შინისკენ ბედნიერი და გაბრწყინებული უნდა გამოფრიენილიყო, მაგრამ დილით სამშობლოში მოღუშული ჩაფრინდა. მიზეზი: მეკარეთა ომი.

საქმე ის გახლავთ, რომ გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა, იურგენ კლინსმანმა ამ დღეს კარის დაცვა „არსენალის“ გოლკიპერს, იენს ლემანს ანდო, რომელმაც დიდებულად ითამაშა და გარშემო იმის საფუძვლიანი ეჭვი შვა, რომ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად იგი „ბაიერნის“ მეკარეს, ცნობილ ოლივერ კანს შემადგენლობიდან ამოაგდებს



იურგენ კლინსმანი

ოლივერ კანი

ზეპ მაიერი

გაბრაზებულმა და ცნობილმა ბაიერნელმა, ოლივერ კანმა კი მატჩი ტელევიზიით ნახა.

„ჩვენ იღბლიანი ხალხი ვართ ასეთი პრობლემა რომ გვაქვს. გვყავს ორი მსოფლიო დონის მეკარე და ასარჩევად გვაქვს საქმე“ — განაცხადა კლინსმანმა უკვე გერმანიაში, სანამ ახალ თვითმფრინავში ჩაჯდებოდა და შინისკენ, კალიფორნიისკენ გასწევდა მანამდე კი თანამდებობიდან დაითხოვა ზეპ მაიერი, მეკარეთა მწვრთნელი, თავადაც ლეგენდარული მეკარე, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, კანისტი ანუ ანტილემანისტი გამოდგა.

თუ გახსოვთ კლინსმანის წინამორბედი, რუდი ფიოლერი, კანს ენდობოდა, ამასთან, არაფრად აგდებდა, რომ ის ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ცუდად თამაშობდა. კლინსმანი კი სხვანაირად მოიქცა. მივიდა თუ არა, კანს კაპიტრობა ჩამოართვა და განაცხადა, რომ ამ ორს შორის ერთს ერთხელ და საბოლოოდ ზედ 2006 წლის ჩემპიონატის წინ აარჩევს, მანამდე კი დაე იყოს კონკურენცია.

მაგრამ, როგორც ჩანს საქმე მანამდე ვერ მივა - კანს მაიერის ხელით ლემანის გაგდება ნდომებია, კლინსმანმა კი მაიერი გააგდო. თქვა კიდევაც ლემანმა მაიერი კანის ლობისტი იყო. პასუხად მაიერმა შემოუთვალა 2006 წლის მუნდიალი დაივიწყე, რადგან კანის დონემდე ბევრი გაკლიაო.

„ჩვენ ყველა ნათქვამი მოვისმინეთ, დავიმახსოვრეთ და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე საუკეთესო გადაწყვეტილება მივიღეთ, კანსა და ლემანს შორის კონკურენცია მაინც გაგრძელდება 2006 წლამდე და არჩევანსაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გავაკეთებ, როგორც ადრე ვაპირებდი“ — დაიჟინა კლინსმანმა და თეირანის თამაშის შესახებ დასძინა, — ლემანმა საუცხოოდ ითამაშა ის მსოფლიო კლასის მეკარეა, რომელსაც შეცდომა არ დაუშვია, ხოლო ის, რომ „არსენალს“ ამდენი ხანია თამაში არ წაუგია, შემთხვევითობა არ გახლავთ“.

ასე თუ ისე გაყოფილნი ყოფილან გულშემატკივრებიც. გაზეთ „ბილდს“ გამოუკვლევია, რომ ხალხის 51 პროცენტს კანისა არ სჯერა, 31 პროცენტი კლინსმანისა არ იყოს ამ ორის თანამეკარეობის პერსპექივას მაინც ხედავს, ხოლო 18 პროცენტი ამტკიცებს, რომ თუ ვინმე არ ვარგა ლემანია.

„მეკარეთა თეატრი ნელ-ნელა კონტროლს აღარ ექვემდებარება, — აცხადებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის შეფი, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი, — ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ერიხ რიბეკის დროს დაიწყო, ფიოლერის დროს გაგრძელდა, ხოლო კლინსმანის დროს საშინელებად იქცა. დღეს ჩვენი გარემო მოშხამულია“.

ცნობისთვის: იენს ლემანი 34 წლისაა და ნაკრებში 20 თამაში აქვს ჩატარებული, ხოლო ოლივერ კანი ოცდათხუთმეტისა გახლავთ და ბუნდესნაკრების კარში 74-ჯერ მდგარა.

მაგრამ თეირანში კლინსმანმა კარში ლემანი დააყენა და მანაც სულ მცირე ორი აშკარა გოლისგან იხსნა კარი. გერმანული პრესა ამას ბუნებრივია დაუყოვნებლივ გამოეხმაურა.

„ბილდმა“ პირველ გვერდზე დიდი ასოებით დაწერა: „ტიტანმა ლემანმა გამარჯვება დაიცვა“.

შემდეგ, მესვეტე ვალტერ შტრადენი ამბობს: „ლემანმა კანთან ბრძოლაში ქულები მიითვალა. მან ძნელად მოსაგერიებელი კი არა, ვერმოსაგერიებელი დარტყმები მოიგერია“.

პაპუნა კედია



იენს ლემანმა თეირანში შესაშურად ითამაშა

დასაწყისი „სარბიელი“ №223, №225; №231 და №233

ნეინიკიკამენ!

აქეთ მღვდელი, იქით მღვდელი, შუაში ეი დრამატული ისტორია

მარმარილოს სტადიონზე სპირიდონ ლუისის გამარჯვებით გახარებული და მოზეიმე 80 ათასი კაციდან ერთსაც კი არ შეპარვია ეჭვი თავიანთი თანამემამულის პირველობაში. სპირიდონ ლუისი მარტოდმარტო შეიჭრა სტადიონზე, სადაც მისმა უახლოესმა მეტოქე ქარილაოს ვასილაკოსმა 8 წუთის მერე დაასრულა რბენა. ამასთან, სპირიდონ ლუისმა მარათონიდან მარმარილოს სტადიონამდე პატიოსნად ირბინა, გზა არ შეუმოკლებია და არც რაიმე სატრანსპორტო საშუალება გამოუყენებია, რისი ერთ-ერთი მოწმე, მსაჯებს რომ თავი დავანებოთ, იყო ჟურნალ „აკროპოლისის“ კორესპონდენტი სპირიდონ დასიოსიც. იგი მარათონელებს ველოსიპედით აედევნა და მათი ბრძოლა პირუთვნელად აღწერა ისევე, როგორც მისმა ორმა კოლეგამ.

სპირიდონ ლუისის გამარჯვებაში ეჭვი იმხანად არც მის მეტოქეებს შეპარვიათ, ყოველ შემთხვევაში, პრეტენზია არავის გამოუთქვამს, მაგრამ გამოხდა ხანი და ხმა დაირხა, პირველი მარათონის მეორე პრიზიორი ქარილაოს ვასილაკოსი სპირიდონ ლუისის ჩემპიონობას არ აღიარებს და უგვირგვინო გვირგვინოსნად საკუთარი თავი მიაჩნიაო.

პელოპონესელი ვასილაკოსი რომელიღაც ოფისის კლერკი იყო. მთელი 40 წელიწადი ოფიციალურ აღლუმებს ამზადებდა და დიდი პეწენიკა ვინმე იყო. მუდამ კოსტუმსა და ფრაკში გამოწყობილი დადიოდა, გულის ჯიბეს კი ყოველთვის ცოცხალი ყვავილი უმშვენებდა.

ქარილაოს ვასილაკოსი შეჯიბრებებზეც კი ქათქათა პერანგით გამოდიოდა.

ვასილაკოსი სპირიდონ ლუისისგან განსხვავებით ნამდვილი -მორბენალი იყო. ეს ის ვასილაკოსია, ვინც საცდელად გამართულ „პირველ ნამდვილ“ მარათონში გაიმარჯვა, მეორე ასეთივე შეჯიბრებაში კი მეექვსე იყო. მას განსაკუთრებით სწორედ გრძელ მანძილებზე რბენა ემარჯვებოდა და აკი სტაიერულ დისტანციებზე ოლიმპიადამდეც არაერთხელ გაიმარჯვა და ოლიმპიადის მერეც მან თავისი სიძლიერე თავად ოლიმპიადაზეც დაამტკიცა, როცა მეორე ადგილი დაიკავა, მაგრამ გამოხდა ხანი და ჯერ თავის ვაჟიშვილს, მერე კი მეგობრებსაც ეს ისტორია უამბო:

„იმ მარათონული რბენისას სოფელ ჰარვატთან ერთი მღვდელი შემომხვდა. წინ გადამიდგა და ხმამაღლა შემომძახა, თავს ნულარ იკლავ სირბილით, უცხოელები უკვე სტადიონზე არიანო. არ დავუჯერე და რბენა გავაგრძელე, მაგრამ მღვდლის ბინძური სიცრუე იქვე დამხვდურმა სოფლელებმა დაიჯერეს, წინ ახლა ისინი გადამიდგნენ და ჩემი შეჩერება სცადეს, ამაოდ ნულარ ირჯებიო. ყური იმათაც რომ აღარ ვათხოვე, დამიჭირეს და ჩემი დაშოშმინება სცადეს. ასეთ ვითარებაში, თუ რას ნიშნავს თუნდაც ერთი პაუზა, ამას მხოლოდ მარათონელი გაიგებს, მე კი იმ ჭიდილში დაახლოებით 20 წუთი დავკარგე. ბოლოს, როგორც იქნა, ცხენივით გავიწიე და რკალი გავარღვიე“...

სტამატა რევიტი



პეწენიკა ქარილაოს ვასილაკოსი რბენის დროსაც პეწენიკობდა

ეს ამბავი 1963 წელს გახმაურდა, ხუთი წლის მერე კი სპირიდონ ლუისი გარდაიცვალა. ვასილაკოსის ნაამბობზე სპირიდონ ლუისის რეაქცია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ კაცი, ვინც მეორე პრიზიორის თავგადასავალს დაადასტურებდა, არ გამოჩენილა. თავად ვასილაკოსი მეგობართა წრეში თურმე ამბობდა, ამ ამბავს იმიტომ არ ვახმაურებ, რომ სპირიდონ ლუისი ეროვნული სიამაყეა და ჩემს ნაამბობს ხალხი ვერ გამიგებსო.

პირველ მარათონთან დაკავშირებული მითქმა-მოთქმა, თავგადასავალი და სკანდალური ამბავი, რითაც საერთოდ აღსავსეა მარათონის ისტორია, ამით არ გასრულებულა.

ახლა კი დროა, დავუბრუნდეთ ქალბატონ, სტამატა რევიტის თუ მელოპომენას, რომელიც პირველი მარათონის წინადღით მღვდელს შეატოვეთ. როცა იმ მღვდელმა რევიტი ვაჟებთან ერთად მარათონში მონაწილეობისთვის არ დალოცა, ამ ქალბატონმა გადაწყვიტა კაცებს მაინც ადევნებოდა და შეჯიბრებაში არაოფიციალურად ამგვარად მაინც ეცადა ბედი — ერთი სიტყვით, ყურადღება მიეპყრო.

საქმე ის იყო, რომ გამარჯვებისთვის უამრავი პრიზი დაეწესებინათ, რევიტის კი სიღარიბე ტანჯავდა და მარათონში გამოსვლა მისთვის შანსი იყო, მით უმეტეს, თავს მეტად გამძლედ და ამტანად თვლიდა. ფიქრობდა, ამ შეჯიბრებაში უპრიზოდაც რომ დავრჩე, როგორც ქალი ყურადღებას მაინც მივიქცევ და იქნებ სამსახური ვიშოვოო.

გაზეთმა „აკროპოლისმა“ იმ დღეებში რევიტის შესახებ უამბო მკითხველს. იმ სტატიით ირკვევა, რომ რევიტის თავისი „გმირობით“ სურდა შთაეგონებინა ქალაქის მერი ან კრონპრინცი, რათა მათ ეს ქალბატონი როგორმე დაესაქმებინათ. „აკროპოლის“ მიხედვით რევიტი იმ დროისთვის ორი შვილის დედა ყოფილა, გაზეთ „ასტის“ მიხედვით კი შვიდი შვილი ჰყოლია, რომელთაგან უფროსი, 7 წლისა 1895 წლის შობის დღეებში მოკვდომია.

რევიტის მიზანი მარათონამდე ერთი კვირით ადრე გაცხადდა, როცა მან გაზეთის საშუალებით გაიგო, შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის კანდიდატებს უხმობენო. თანაც ყური მოუკრავს, მარათონში ათენში მცხოვრები ამერიკელი ქალებიც გამოდიანო.

რევიტი ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებთან ამაოდ აფრიალებდა იმ გაზეთებს, რომლებიც მარათონში მონაწილეობისთვის ბერძნებს უხმობდნენ. ბოლოს, თავიდან რომ ვერ მოიშორეს, დაპირდნენ, იმ ამერიკელ ქალებთან ერთად თქვენც ირბინეთო, მაგრამ ასეთ მარათონს ვინ ჩივის, როცა პირველ ოლიმპიადაზე ქალები საერთოდ არ გამოდიოდნენ.

მარათონელები სოფელ მარათონში 1906 წლის რიგგარეშე ოლიმპიადაზე

რევიტი ძალად დასამალი აღარ ხდა, რომ ეს საბოლოო ... მარჯვებისა ... გადაწყვეტილება ... ბით შთაგონებულმა გადაწყვიტა იგივე მარშრუტი მეორე დღესვე დაეფარა. მართლაც, მეორე დღის დილით სტარტზე დადგა, თან მოწმეებად ქალაქის მერი, მარათონის მსაჯი და ერთიც მასწავლებელი მიიყვანა.

8 საათი შესრულდა თუ არა, რევიტი ათენისკენ გავარდა. გავარდა და დედაქალაქშიც ჩააღწია. ხუთსაათნახევრის მერე სამხედრო ჰოსპიტალ „პარაგმიტასთან“ იყო. იქიდან მარმარილოს სტადიონამდე ერთი ხელის გაწვდენაღა რჩებოდა...

სამწუხაროდ, აქ მთავრდება მისი მარათონული რბენის ამბავი. კაცმა არ იცის, მარმარილოს სტადიონზე გადაკვეთა თუ არა ფინიშის ხაზი. ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, რევიტი იმ პირველი მარათონელი ვაჟების მხარდამხარ რომ გამოსულიყო, მაჩანჩალა სულაც არ იქნებოდა და რამდენიმეს უთუოდ აჯობებდა.

სტამატასა თუ მელოპომენის უნიკალური გმირობის ამბავი 1975 წლის ყოველწლიურ ქალთა მძლეოსნურ წიგნშიც აისახა, სადაც ნათქვამია, რომ იგი პირველი მარათონელი ქალიაო.

ქალთა მარათონი ოლიმპიურ თამაშებზე მთელი 88 წლის დაგვიანებით გამოჩნდა. მაშინ, 1984 წლის თამაშებზე ამერიკელმა ჯონ ბენოიტმა გაიმარჯვა, მაგრამ ეს ოკეანესგაღმა, ლოს ანჯელესის თამაშებზე იყო, აქ კი, მარათონიდან ათენამდე პირველი მარათონელი ქალის, სტამატა რევიტის მერე „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენელი კვლავ მხოლოდ 1972 წელს ვიხილეთ. მაშინ აქ ათენის ღია კლასიკურ მარათონს დაედო სათავე და ქალთაგან უძლიერესი... 56 წლის გერმანელი ვესტფალი აღმოჩნდა — 3:55.65, ბერძენ ქალთაგან კი ეს მანძილი რევიტის მერე პირველად იმავე 1972 წელს გეორგია ხრისტოდულუმ დაფარა (5:02.20).

მას მერე ათენის ღია კლასიკური მარათონი იმ კლასიკური მარშრუტით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება.

მარათონული რბენა ამავე მარშრუტით ჩატარდა 1906 წელს ათენის რიგგარეშე ოლიმპიადაზეც, რითაც ამ ასპარეზობის 10 წლისთავი აღნიშნეს. იქვე მოეწყო ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მარათონიც. ამავე კლასიკურ მარშრუტზე იმართებოდა პანელინური და ბალკანური თამაშების პროგრამით გამართული ასპარეზობები, 1955 წლიდან 1979 წლამდე კი ყოველ 2 წელიწადში ერთხელ საერთაშორისო მარათონიც ეწყობოდა.

უკვე მრავალი წელია, რაც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში ეწყობა ტრადიციული საერთაშორისო მარათონები, სადაც გამარჯვება მეტად პრესტიჟულად ითვლება, მაგრამ ყველა მარათონელი ოცნებობს მარათონიდან ათენის მარმარილოს სტადიონამდე კლასიკური მარშრუტის დაძლევას, რისი საშუალებაც მათ ახლა, წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებზეც მიეცათ.

ავთანდილ გურასაშვილი

დასასრული იქნება

ქართველებო, ბოისაზე სწორდით!

ვლადიმერ ბოისა დაცვაშიც კედელივითაა და შეტევაშიც საუკეთესოა

ევროპაში სეზონი ნელ-ნელა ხურდება და ჩვენი ყურადღებაც, ცხადია, იმ ქვეყნებისკენაა მიმართული, სადაც საქართველოს ნაკრების წევრები თამაშობენ. აქ განზრახ არ ვახსენეთ ქართველები, რაკი ეროვნულ გუნდში ამერიკელი შემონდ უილიამსიც გვყავს და მისი ევრომარიფათის ამბებიც თავისთავად საინტერესოა ქართველი მკითხველისთვის.

ეგაა, რუსეთში ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და „უნიკსში“ უილიამსის ოფიციალური დებიუტიც არ შემდგარა. სხვაფრივ კი...

ჩვენიანთაგან ყველაზე ადრე სლოვენიაში მობურთალებს დაეწყოთ სეზონი. ოლიმპიელებმა — ვლადიმერ ბოისამ, მანუჩარ მარკოიშვილმა და პივოვარნელმა დავით უგრეხელიძემ ადრიატიკის ლიგაში უკვე ორი ტური მოილიეს. ამ უქმეებზე კი „ფრანგ“ ქართველებსაც მოუხდათ საქმეში ჩართვა — ვიქტორ სანიკიძემ „დიჟონში“ ითამაშა, სერგო ათუაშვილის დებიუტი კი წუხელ შედგებოდა „შალონში“.

სეზონი დიდი რიხით გახსნა ბოისამ. „ოლიმპიამ“ უკვე სამი ოფიციალური მატჩი გამართა და ვოვამ ყველაში იყოჩაღა. ჯერ იყო და, ლიუბლიანელებს სუპერთასი მოაგებინა „პივოვარნასთან“ ჯახში და შემდეგ „ოლიმპიას“ ამავე გუნდის ძლევაში დაეხმარა ადრიატიკის ლიგაზე.

ლიუბლიანელებმა „პივოვარნა“ სტუმრად 22 ქულით დაამარცხეს და ბოისამ ორმაგი დუბლი შეასრულა. ახლახან გაოლიმპიელებულმა მანუჩარ მარკოიშვილმა კი ლაშკოში ვერაფრით გამოიჩინა თავი. მოგეხსენებათ, „პივოვარნაში“ თამაშობს ჩვენებური დავით უგრეხელიძე, რომელმაც ასევე ვერაფერი გააწყო და ორწუთიანი ბურთაობა უქულოდ დაასრულა.

უგრეხელიძეს არ გაუმართლა არც ადრიატიკის ლიგის მეორე ტურში — მისი „პივოვარნა“ ზაგრებში დამარცხდა „ციბონასთან“ და ქართველმა ცენტრმა ოთხი უშედეგო წუთი დაჰყო მოედანზე.

თუ „პივოვარნა“ აგებს, იგებს „ოლიმპია“. ლიუბლიანელებმა ადრიატიკულ ტურნირში შაბათს ჩერნიგორიული „ბუდუჩნოსტი“ შერისხეს და ამ მატჩში უიღბლობის ნავსი გატეხა მანუჩარ მარკოიშვილმა.

„მწვრთნელმა მეორე მეოთხედის ბოლოს შემიყვანა მოედანზე და ბოლო ათწუთეულამდე დამტოვა. წინა ორ თამაშში თავი ვერ გამოვიჩინე და ნერვებმოშლილი ვიყავი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, რაღაცა უნდა გავაკეთო-მეთქი — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა ლიუბლიანიდან — დაცვაში თავიდანვე კარგად წამივიდა თამაში და მწვრთნელმა აღარ გამომცვალა. მერე კი ქულების მოგროვებაც ვცადე და რაც ვესროლე, ყველა ჩავაგდე.“

საბოლოოდ მარკოიშვილს 14-წუთიანი ბურთაობის შედეგად 7 ქულა და 3 მოხსნა დაუგროვდა, მაგრამ ეს შედეგი არაფერია ვლადიმერ ბოისას საამმატჩო მონაგართან — ვოვამ 16 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი და ერთი ჩაჭრა მიითვალა. ჩვენებურთა და სხვათა დახმარებით „ოლიმპიამ“ „ბუდუჩნოსტი“ 83:67 დაამარცხა და ადრიატიკის ლიგაში გალიდერდა.

ვინმეს ლიდერობაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი საფრანგეთში, სადაც ამ შაბათს დაიწყო უმაღლესი ლიგა და ქართველთა „დიჟონმა“ პირველი მარცხიც იწვნია.

ვატო ნაცვლიშვილი ნაოპერაციევი ფილტვის გამო ჯერ ვერ ეხმარება დიჟონელებს, ამასობაში კი ვიქტორ სანიკიძე ძირითადში მკვიდრდება. სანიკიძემ „ლე ავრის“ წინააღმდეგ 17 წუთი ითამაშა, რაც სარეკორდოა მის დიჟონურ კარიერაში და საბოლოოდ 6 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა, მისმა გუნდმა კი ფიცხელ ბრძოლაში დათმო მატჩი.

საფრანგეთის მეორე დივიზიონის „ეპინალში“ ითამაშა „პო ორტეზიდან“ განათხოვრებულმა გიორგი მდივანმა, რომელიც ჩემპიონი გუნდიდან სათამაშო დროის ნაკლებობის გამო წავიდა, თუმც არც ახლა უწევს ხანგრძლივად მოედანზე ყოფნა. მდივანის გუნდმა სტუმრად 56:74 წააგო „სენ-კვენტინთან“, ქართველმა კი 7 წუთში 4 ქულა მოინაგრა.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ	ჩ
ადრიატიკის ლიგა									
ვლადიმერ ბოისა	ოლიმპია	პივოვარნა	ს	88:66	38	10	12	2	2
		ბუდუჩნოსტი	შ	83:67	25	12	7	3	1
ადრიატიკის ლიგა									
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	პივოვარნა	ს	88:66	3	2	0	0	0
		ბუდუჩნოსტი	შ	83:67	14	7	3	0	0
ადრიატიკის ლიგა									
დავით უგრეხელიძე	პივოვარნა	ოლიმპია	შ	66:88	2	0	0	0	0
		ციბონა	ს	79:83	5	0	0	0	0
საფრანგეთი. PRO A									
ვიქტორ სანიკიძე	დიჟონი	ლე ავრი	შ	91:98	16	6	4	2	0
საფრანგეთი. PRO B									
გიორგი მდივანი	ეპინალი	სენ-კუენტინი	ს	56:74	7	4	1	0	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ

ირაკლი უშანგიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუფრავს დოლელიძეს ფოტო

მიირთვით კოკა კოლა, ისიამოვნეთ ჩოგბურთით

ერთი კვირაც და საქართველოში საერთაშორისო საჩოგბურთო შემდგომა მიილევა. წერტილს მამაკაცებს შორის გასამართი „კოკა კოლას თასი“ დასვამს, რომელიც ხვალიდან კვირამდე ჩათამაშდება. საპრიზო ფონდი 15 ათასი დოლარი იქნება. ერთი ანალოგიური ტურნირი, თბილისის ღია პირველობა კი გუშინ დასრულდა.

ფინალში პირველ და მესამე ნომრებად განთესილი ჩოგბურთელები გავიდნენ. რუსი კირილ ივანოვსმოლენსკი საერთაშორისო რეიტინგსიაში 325-ე ადგილზეა და თბილისურ ტურნირზე ყველაზე წინ იდგა. რუსი ფინალამდე ისე მივიდა, სეტიც არავისთვის დაუთმია, თუმც იქ თავისზე ოცი ადგილით დაბლა მდგომ პოლონელ მიხაელ პრჟისიეჟნისთან ვეღარას გახდა.

ტრიბუნების ფავორიტ პოლონელს მხოლოდ პირველ სეტში შეექმნა წინააღმდეგობა მეტოქის მხრიდან, მერე კი ისე ათამაშდა, ახმახ კირილეს სულ ბდღვირი ადინა.

არ შეიძლება, ქართველების გამოსვლაზეც არ ვთქვათ, მაგრამ სათქმელი რომ ბევრიც არაფერია? საკვალიფიკაციო ეტაპზე თხუთმეტამდე ჩვენებურმა იჩოგნავა, მაგრამ ძირითად ბადეს ერთმაც ვერ უწია. იქ სამი ქართველი მაინც მოხვდა, სამივე „ვაილდ ქარდით“. საქართველოს სადევისთასო ნაკრების წევრებმა ლადო ჩიხლაძემ და დავით კვერნაძემ პირველივე წრეში წააგეს, ორივემ კვალიფიკაციაგავლილებთან. ლადოს ესტონელმა მაიტ კუნაპმა აჯობა, ხოლო დავითს გერმანელმა ოლივერ გროსმა.

ქართველთაგან ყველაზე მარჯვედ ჩოგანი ირაკლი უშანგიშვილმა იქნია. მსოფლიოს რეიტინგსიაში ათასეულს მიღმა მყოფმა ქართველმა, ჯერ იყო და, თავისზე 600 სარეიტინგო საფეხურით წინ მდგომი იტალიელი ალბერტო ბრიზი დაჩოგნა, მერე ზედ კვერნაძის მძლეველი გროსიც მიაყოლა. მეოთხედფინალში კი ზემოთ ნახსენებ ივანოვ-სმოლენსკის გადაეყარა.

რაც შეეხება ახლადდაწყებულ კოკა კოლას ტურნირს, აქ ძირითადი ბადე დღეს საღამოს შეივსება. საკვალიფიკაციო ეტაპი გუშინ დაიწყო და ქართველი ჩოგბურთელების სიმრავლეც კვლავ ვიგრძენით. საქმე ისაა, რამდენი მათგანი მოხვდება საუკეთესო რვაში ან მოხვდება თუ ვერა რომელიმე.

ოთარ მაღლაკელიძე

AIG JAPAN OPEN TENNIS CHAMPIONSHIPS 2004
კაცები. ტოკიო. მაგარსაფარი. საპრიზო 690 ათასი $

ნოვაკმა ტაიფუნი გააჩერა

ფინალი

ირჟი ნოვაკი (5, ჩეხეთი) — ტაილორ დენტი (7, აშშ) 5:7, 6:1, 6:3

ირჟი ნოვაკს ფინალში რომ ვეღარავინ გააჩერებდა, ეგ უკვე წინა დღითვე გაირკვა — 29 წლის ჩეხმა უდაძაბულეს (და ტაიფუნის მიერ 35 წუთით შეწყვეტილ) შეხლაში ტურნირის ფავორიტ ლეიტონ ჰიუიტს 6:4, 4:6, 6:2 აჯობა და ეს ისე დამაჯერებლად გააკეთა, აშკარა იყო, ტოკიოდან უტიტულოდ აღარ წამოვიდოდა.

არც წამოვიდა — მართალია, ამერიკელი ტაილორ დენტი ჰიუიტისგან განსხვავებული სტილით ბურთაობს და უკანახაზიდან ხანგრძლივ გლაჯუნს მძლავრ მოწოდებაზე დაყრდნობილ თამაშს არჩევს, მაგრამ ნოვაკი ვერც მან დაიმორჩილა. ჩეხმა პირველი სეტი მძაფრ ბრძოლაში დათმო, მომდევნო ორში კი ძალზედ მშვიდად ითამაშა და საათისა და 45 წუთის თავზე წლის პირველი, ხოლო კარიერის მეექვსე ტიტული ირგუნა.

ქალები. საპრიზო 170 ათასი $

ფინალი

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:0, 6:1

მარია შარაპოვამ წლის მეოთხე, ხოლო კარიერის მეექვსე ტიტული იშოვა. რაც მთავარია, მან პირველად მოახერხა, წინა წელს ნაშოვნი რაგინდარა ტიტული შეენარჩუნებინა. ამის გამო დღეს გამოცემულ რეიტინგსიაში ის კვლავ კარიერის პირადსარეკორდოდ მაღალ, მეშვიდე საფეხურზე იდგება.

საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი. VI ტური

ლელოები ყოჩოებენ, ყოჩოები ჭაკოებენ

აიას სიურპრიზი არ აცადეს

ლელო 42:21 ყოჩოები

ლელო:
5 ლელო: ვალიშვილი (2), კვირიკაშვილი, სარდანაშვილი, ქობელაშვილი
4 გარდასახვა: კვირიკაშვილი; 3 საჯარიმო: კვირიკაშვილი

ყოჩოები:
2 ლელო: ცხადაძე, გრუდკო
1 გარდასახვა: თ. სოხაძე; 3 საჯარიმო: თ. სოხაძე

აია 6:11 ლოკომოტივი

აია:
2 საჯარიმო: ჰ. აშვეთია

ლოკომოტივი:
1 ლელო: ბერიძე
2 საჯარიმო: უდესიანი

აკადემია — დათვები გადაიდო

ლელო	6	4	1	1	192:103	9
აკადემია	4	3	1	0	87:48	7
დათვები	5	3	0	2	82:47	6
ლოკომოტივი	6	3	0	3	120:121	6
ყოჩოები	6	2	0	4	130:157	4
აია	5	0	0	5	41:154	0

VII ტური:
15-16 ოქტომბერი
დათვები — აია
ლელო — ლოკომოტივი
აკადემია — ყოჩოები

თითქოს წესად იქცა და უკვე მივეჩვიეთ კიდეც: თითქმის ყველა ტურს რომელიმე მატჩი უნდა დააკლდეს. რას იზამ, ჩვენს კლუბებს ფინანსური საკითხები ჯერ ვერ მოუგვარებიათ. ეს პრობლემა ამჯერად ბათუმელ „დათვებს“ შეექმნათ, რომლებმაც წინასწარ სთხოვეს საქართველოს რაგბის კავშირს, თბილისში „აკადემიასთან“ მატჩი მომავლისთვის გადაგვიტანეთო. ოღონდ როდის შედგება ეს ჯახი, ჯერ უცნობია.

სამაგიეროდ, ქუთაისურმა „აიამ“ „იხსნა“ ტური. იმერეთში ჩასულ „ლოკომოტივს“ მოედნის პრობლემა არ შექმნია, პირიქით, თვითონ მოედანზე შეექმნა პრობლემები, თუმც თავისი ლელო მაინც გაიტანა და თბილისში ასე თუ ისე, კმაყოფილი დაბრუნდა. „აია“ შედარებით მოყოჩაღებულია, რუსული კლუბებიდან 7 მორაგბე დაიმატა და პირველ ტაიმში პაატა აშვეთიას საჯარიმოებით 6:3 უგებდა ჩემპიონსტუმარს, თუმც შესვენების შემდეგ „ლოკოს“ მორკინალმა ბესო უდესიანმა ჯერ საჯარიმოებით გაათანაბრა, ხოლო შემდეგ მისმა თანაგუნდელმა ბერიძემ მატჩის კინკილა და გამარჯვების ლელო გამოჭედა.

ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე კი „ლელომ“ პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აუღო „ყოჩებს“. ლევან მაისაშვილის ბიჭებმა პირველივე წუთებიდან მიხედეს საქმეს და მართალია, მათ მეტოქეს უკანახაზელი თემურ სოხაძე დაუბრუნდა, მაგრამ ეს ლელოელთა დღე იყო: კვლავ იშტაზე იყო შერკინების ნახევარმცველი მერაბ კვირიკაშვილი, რომელსაც ჯარიმ-გარდასახვებიდანაც არ აჰკანკალებია ფეხი, ერთი ლელოც გამოაცხო და პირადად მონაგრებული 22 ქულით მარტომ აჯობა მთელ „ყოჩებს“. „მეკოს“ მადიანად აჰყვნენ მესამეხაზელებიც და აკი ვალიშვილმა და სარდანაშვილმა ჯამში სამჯერ დააელელოვეს მალხაზ ჭეიშვილის გაწვრთნილები.



ბექა სარდანაშვილისა და მერაბ კვირიკაშვილის „ლელომ“ ისევ გაიტანა თავისი ლელო

მოკლედ, ხუთმატჩიანმა წაუგებელმა სერიამ „ლელო“ ცხრილის ჩრდილოეთ პოლუსზე წამოასკუპა, მაგრამ მდევარ „აკადემიას“ ორი მატჩი მარაგში აქვს და დაკარგული ქულებით „თამადობს“.

ილია ნანობაშვილი

ესპანელები შვიდად გავაგიჟეთ

ქართველების ჯატა-ჯუმიტობა ჯანტაბრიაში

დოვლათით დაბრუნდნენ ქართველი კარატისტები ესპანეთიდან, სადაც ვადო-კარატეში ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. ესპანური კანტაბრიის მხარის პატარა ქალაქ ტორელა ვეგადან ჩვენმა გოგო-ბიჭებმა 7 მედალი წამოიღეს, აქედან 4 ოქროსია. და ეს მაშინ, როცა ქართველები კანტაბრიაში მხოლოდ 6 კარატისტით ჩავიდნენ: 12-13 წლამდელებში ზურაბ მამაგულაშვილი (მსუბუქი წონა), დავით ჯანაშვილი (მძიმე) და თამარ მახარაძე (მძიმე); 16-17 წლამდელებში ქეთევან ქურდაძე (მძიმე) და თამარ მელუა (მსუბუქი), ხოლო უფროს ასაკში, ანუ 18 წლის ზემოთ, გოგიტა არქანია (80კგ).

ინდივიდუალურ კუმიტეში მახარაძემ, ჯანაშვილმა, მელუამ და არქანიამ იჩემპიონეს, ხოლო ქურდაძე ვერცხლს შესწვდა. ინდივიდუალურ კატაში ბრინჯაო მოიპოვა მახარაძემ, რომელმაც ტორელა ვეგაში სამივე ხარისხის მედალი მოინადირა — 16-17 წლამდელთა ინდივიდუალურ კუმიტეში ჩვენმა გოგონათა სამეულმა გუნდურ მეორე ადგილს უწია. ქართველთა მჭექარე გამოსვლის ბოლო აკორდი კი გოგიტა არქანიას აღიარება გახლდათ, რომელსაც ჩემპიონატის საუკეთესო კარატისტის პრიზი არგუნეს.

ევროტრიუმფზე უფრო ვრცლად საქართველოს ვადო-რიუ კარატე-დოს პრეზიდენტი მიხეილ მახარაძე გვიყვება, რომელიც ჩვენი ნაკრების დელეგაციას ხელმძღვანელობდა ნიკა ასათიანთან ერთად

სენსეი ტაცუო სუძუკი ქართველებით აღფრთოვანებულია

— ცხადია, ევროჩემპიონატს მსოფლიო ვადო-რიუს ხელმძღვანელი სენსეი ტაცუო სუძუკიც ესწრებოდა, რომელიც ორიოდე კვირის წინ თბილისში კავკასიის ღია პირველობაზეც ვიხილეთ. სუძუკიმ მშვენივრად იცის ჩვენი კარატისტების ძალა — არაერთხელ უთქვამს, იაპონელებში სამურაის სისწრაფეები ჩაიფერფლა, ქართველებში კი კარატის ისეთ ელემენტებს ვხედავ, სხვაგან რომ არსად შემხვედრიაო. გოგიტა არქანიას აღიარება კი მხოლოდ მისი აზრი არ იყო, ჩემპიონატის ორგანიზატორებს სხვა ალტერნატივა არც ჰქონიათ.

— რამდენად წარმომადგენლობითი იყო ჩემპიონატი, ანუ სხვა ქვეყნებს უძლიერესი კარატისტები ხომ არ აკლდათ?

— არა, ევროპის ყველა ძლიერი კარატისტი ტორელა ვეგაში იყო. წამყვანმა ქვეყნებმა — საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ და ესპანეთმა სულ დარჩეული სპორტსმენები გამოიყვანეს. ორგანიზატორული დონეც მაღალი იყო, თუმც მსაჯობაში შეინიშნებოდა გარკვეული ხარვეზები და, ცხადია, მეტწილად მასპინძელთა სასარგებლოდ. ისე, ეს პრობლემა ჩვენ არ შეგვხებია, რადგან ესპანელებთან სამი ფინალი გავმართეთ და სამივე მოვიგეთ.

— საერთო გუნდურ ჩათვლაში რომელი ადგილი დაიკავეთ?

— მედლების რაოდენობით ინგლისმა და ესპანეთმა კი გაგვისწრეს, მაგრამ მათ გაცილებით მეტი კარატისტი ჰყავდათ. პროცენტულად ყველას ვაჯობეთ. 6 სპორტსმენით 7 მედალი ყველაფერზე მეტყველებს...

— გამოხმაურება როგორი იყო, ქართველების წარმატებას თუ ელოდნენ?

— თავიდან იქნებ არც ელოდნენ, მაგრამ პირველივე დღეს ჩვენებმა ისეთი მაღალი დონე აჩვენეს, რომ ესპანელებს სიმწრით ეცინებოდათ — მაგათთან რას გავაწყობთ, ვერცხლს უნდა შევეგუოთო. და მთავარი, ტორელა ვეგაშივე სენსეი სუძუკიმ და სხვა ხელმძღვანელებმა თავად შემოგვთავაზეს, 2006 წლის ევროპის ჩემპიონატის საქართველოში ჩავატაროთო. ისინი ხედავენ ჩვენს სერიოზულ დამოკიდებულებას და პატივიც ამიტომ დაგვდეს. ცხადია, შანსის ხელიდან გაშვება არ გვინდა, ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ სპორტის დეპარტამენტში და კიდევ რამდენიმე შეხვედრა გვექნება.

— მსოფლიოს ჩემპიონატი როდის იქნება?

— გაისად ამერიკაში, დალასში გაიმართება. წლეულს ნოემბერში მექსიკა საერთო (კარატეს ყველა სახეობა WKF-ის ეგიდით) მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მივდივართ. მანამდე კი, 16-17 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატი გველის, რომელსაც საქართველოს კარატე-დოს კავშირი ატარებს. აქვე დიდ მადლობას ვუხდი სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დირექტორ კახა დევდარიანს, რომელმაც დიდი სამსახური გაგვიწია კავკასიის ღია ჩემპიონატის მასპინძლობით. ესპანეთში გამგზავრებაში ასევე ხელი შეგვიწყვეს ჩემმა მეგობრებმა — გუგა ქურდაძემ და მერაბ დავითაშვილმა.

და კიდევ, მართალია, ეს ოლიმპიადა არ იყო, მაგრამ სიამაყე როგორ არ გაგყვება, როცა ევროპის ჩემპიონატზე შენი ქვეყნის ჰიმნს ოთხჯერ მოუსმენ.

ილია ნანობაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეჩვიდმეტე ეტაპი

შუმინატორის 13-63-83

ტაიფუნ 22-მა (ნხვების განსხვავებით, ცრუმორწმუნე იაპონელები ქარაშოტებს ადამიანურ სახელებს არ არქმევენ) მოწყალება მოიღო, პარასკევ-შაბათის სიგიჟის შემდეგ ჩაწყნარდა და მეფორმულეებს კუნძულ ჰონსიუზე გაჯირითების საშუალება მისცათ. თუმც, ჩაშლის პირას მდგომ ეტაპზე მაინც მოხდა უპრეცედენტო ამბავი — უსაფრთხოების მიზნით შაბათს „სუძუკას" ავტოდრომი დაიკეტა, რის გამოც კვალიფიკაცია ერთი დღით გადაიდო და გუშინ დილით, რბოლამდე ოთხიოდე საათით ადრე გაიმართა.

რაც მთავარია, შეფერხება ახლა მაინც აღარ მომხდარა და პოულ-რბოლა ნორმალურ პირობებში მიმდინარეობდა.

ჯერ ტრასაზე ვთქვათ: ქალაქ ნაგოიას მახლობლად მოწყობილი „სუძუკა" გრძელიცაა (5,807კმ) და არც ჩქაროსნულობა აკლია — სიგრძით მეორეა შვიდკილომეტრიანი სპა-ფრანკორშამის შემდეგ, ხოლო სისწრაფით მხოლოდ „მონცას" და იმავე სპა-ს ჩამოუვარდება. ორიგინალური, რვიანის ფორმის „სუძუკა" — იქ ხიდიც კია, საფორმულო ტრეკებს შორის ერთადერთი — ყველას კი მოსწონს, მაგრამ მაინც დადის ხმები, იაპონიის დიდ პრიზს ფუძიამას მთის სიახლოვეს, „ფუძის" ავტოდრომზე გადაიტანენო.

ეს სამომავლო ამბავია, ჯერ კი იმაზე, რაც გუშინ მოხდა: კვალიფიკაცია მიხაელ შუმახერმა მოიგო, კარიერაში 63-ედ, დამაჯერებლადაც და წლეულს უკვე მერვედ. ასე რომ, ლეგენდარულ აირტონ სენას ფანტასტიკურ რეკორდამდე მას ორი პოულიღა აშორებს. მიხაელს გვერდით სტარტზე მისი უმცროსი ძმა — რალფი მოკალათდა, მათი გუნდელები კი გვარიანად ჩაფლავდნენ, ხუან-პაბლო მონტოია მე-13 იყო, ხოლო რუბენს ბარიკელო ბალახში გადასეირნების შემდეგ მხოლოდ მე-15 პოზიციას „დასჯერდა".

შუმახერებმა დასაწყისში მეწინავეობა შეინარჩუნეს, მათ უკან კი დიდი ძვრები მოხდა — ბარ-ელმა ჯენსონ ბატონმა მეხუთე პოზიციიდან ისე აგრესიულად დაიწყო, რომ უცებ ჩამოიტოვა უკან იაგუარელი მარკ ვებერი და თავისიანი ტაკუმა სატო.

ისე, რბოლაზე სათქმელი ბევრიც არაფერია — მიხაელმა როგორც დაიწყო ყველაზე წინ, ერთხელაც არ დაუთმია ლიდერობა, ბოქსში შესვლისასაც კი და მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ეს 35 წლის სუპერ-მიხაელის წლეულს მე-13, კარიერაში კი 83-ე დიდი პრიზია.

ინციდენტი მოხდა ფინაშამდე 15 წრით ადრე — ბარიკელო და კულჰარდი ერთმანეთს შეეჯახნენ და ჯიუტი თხებისა არ იყოს — ორივე გამოეთიშა რბოლას.

გუშინდელი ეტაპი ბოლო იყო 38 წლის ოლივიე პანისთვის. ფრანგი მეფორმულე კი დაემშვიდობა „სამეფო რბოლებს", მაგრამ რჩება შანსი, რომ სათადარიგოობის მიუხედავად, იქნებ მოახერხოს ერთი-ორჯერ გაჯირითება.

მიხაელს გუშინდელი მოგებით წლეულს სარეკორდოდ ბევრი, 146 ქულა დაუგროვდა და ორით გააუმჯობესა თავისივე შარშანწინდელი მიღწევა.

იმაზეც უნდა ითქვას, რომ სამი თვის წინ ინდიანაპოლისში ავარიის გამო ექვს ეტაპგამოტოვებულმა რალფ შუმახერმა გუშინ გასაკვირად ირბოლა და ძმისა არ იყოს, უპრობლემოდ დაიცვა თავისი სასტარტო პოზიცია.

ცნობისთვის: ძმები შუმახერები პოდიუმზე ერთმანეთის გვერდით უკანასკნელად შარშან ივლისში, საფრანგეთში იდგნენ.

რენოელმა ფერნანდო ალონსომ, თავისი 50-ე რბოლა უპოდიუმოდ, მხოლოდ მეხუთემ დაასრულა და ვერაფრით დაეხმარა თავის საჯინიბოს სამეორეადგილო ბრძოლაში.

გია ახალაძე



REUTERS

რალფ შუმახერი ერთი წლის შემდეგ პოდიუმს ეღირსა

ქულა სეზონში

მიხაელ შუმახერი	ფერარი	146	2004
მიხაელ შუმახერი	ფერარი	144	2002
ნაიჯელ მენსელი	უილიამსი	108	1992
მიხაელ შუმახერი	ფერარი	108	2000
რუბენს ბარიკელო	ფერარი	108	2004
ალენ პროსტი	მაკლარენი	105	1988
მიხაელ შუმახერი	ბენეტონი	102	1995
მიკა ჰაკინენი	მაკლარენი	100	1998
ალენ პროსტი	უილიამსი	99	1993
აირტონ სენა	მაკლარენი	96	1991

რბოლის შედეგები

იაპონიის დიდი პრიზი
10 ოქტომბერი. სუძუკა
დისტანცია 53 წრე — 307,573კმ

1.	(1)	მ.შუმახერი (ფერარი)	1:24.26,985 (218,5 კმ/სთ)
2.	(2)	რ.შუმახერი (უილიამსი)	ჩამორჩა 14,008
3.	(5)	ბატონი (B.A.R)	19,662
4.	(4)	სატო (B.A.R)	31,781
5.	(11)	ალონსო (რენო)	37,767
6.	(12)	რაიკონენი (მაკლარენი)	39,302
7.	(13)	მონტოია (უილიამსი)	55,347
8.	(7)	ფიზიკელა (ზაუბერი)	56,276
9.	(20)	მასა (ზაუბერი)	1:29,656
10.	(9)	ვილნევი (რენო)	1 წრით
11.	(6)	ტრული (ტოიოტა)	1 წრით
12.	(14)	კლიენი (იაგუარი)	1 წრით
13.	(16)	ჰაიდფელდი (ჯორდანი)	1 წრით
14.	(10)	პანი (ტოიოტა)	2 წრით
15.	(17)	გლოკი (ჯორდანი)	2 წრით
16.	(18)	ბრუნი (მინარდი)	3 წრით

რბოლას გამოეთიშნენ

(19)	ბაუმგარტნერი (მინარდი)	გაიარა 41 წრე
(8)	კულჰარდი (მაკლარენი)	38
(15)	ბარიკელო (ფერარი)	38
(3)	ვებერი (იაგუარი)	20

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
მ.შუმახერი — 1.33,542 (223,5 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
ბარიკელო — 1.32,238 (212,8 კმ/სთ)

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

	ავსტრალია 7 მარტი	მალაიზია 21 მარტი	ბაჰრეინი 4 აპრილი	სან მარინო 25 აპრილი	ესპანეთი 9 მაისი	მონაკო 23 მაისი	ევროპა 30 მაისი	კანადა 13 ივნისი	აშშ 20 ივნისი	საფრანგეთი 4 ივლისი	დ. ბრიტანეთი 11 ივლისი	გერმანია 25 ივლისი	უნგრეთი 15 აგვისტო	ბელგია 29 აგვისტო	იტალია 12 სექტემბერი	ჩინეთი 26 სექტემბერი	იაპონია 10 ოქტომბერი	ბრაზილია 24 ოქტომბერი	ქულა
1 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია)	10	10	10	10	10	–	10	10	10	10	10	10	10	8	8	–	10		146
2 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია)	8	5	8	3	8	6	8	8	8	6	6	–	8	6	10	10	–		108
3 ბატონი (B.A.R., დ. ბრიტანეთი)	3	6	6	8	1	8	6	6	–	4	5	8	4	–	6	8	6		85
4 ალონსო (რენო, ესპანეთი)	6	2	3	5	5	–	4	–	–	8	–	6	6	–	–	5	4		54
5 მონტოია (უილიამსი, კოლუმბია)	4	8	–	6	–	5	1	–	–	1	4	4	5	–	4	4	2		48
6 ტრული (რენო, იტალია)	2	4	5	4	6	10	5	–	5	5	–	–	–	–	–	–	–		46
7 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი)	–	–	–	1	–	–	–	4	3	2	8	–	–	10	–	6	3		37
8 სატო (B.A.R., იაპონია)	–	–	4	–	4	–	–	–	6	–	–	1	3	–	5	3	5		31
9 კულჰარდი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი)	1	3	–	–	–	–	–	3	2	3	2	5	–	2	3	–	–		24
10 ფიზიკელა (ზაუბერი, იტალია)	–	–	–	–	2	–	3	5	–	–	3	–	1	4	1	2	1		22

რ. შუმახერი — 20, მასა — 11, ვებერი — 7, პანი, პიცონია (უილიამსი) — 6, და მატა (ტოიოტა), კლიენი, ჰაიდფელდი — 3, გლოკი — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა

	ავსტრალია	მალაიზია	ბაჰრეინი	სან მარინო	ესპანეთი	მონაკო	ევროპა	კანადა	აშშ	საფრანგეთი	დ. ბრიტანეთი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	ჩინეთი	იაპონია	ბრაზილია	ქულა
1 ფერარი	18	15	18	13	18	6	18	18	18	16	16	10	18	14	18	10	10		254
2 B.A.R.	3	6	10	8	5	8	6	6	6	4	5	9	7	–	11	11	11		116
3 რენო	8	6	8	9	11	10	9	–	5	13	–	6	6	–	–	5	4		100
4 უილიამსი	9	8	2	8	3	5	1	–	–	1	4	6	7	–	6	4	10		74
5 მაკლარენი	1	3	–	1	–	–	–	7	5	5	10	5	–	12	3	6	3		61

ზაუბერი — 33, იაგუარი — 10, ტოიოტა — 9, ჯორდანი — 5, მინარდი — 1 ქულა

მსოფლიოს ჩემპიონატი. XIV ეტაპი

ვალენსიის დიდი პრიზი. სეზონი — 5548 ქ

მოტო გრან პრი — 116,5კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ---------- 43 წთ; 29,1
2 მაქს ბიაჯი (იტალია, ქემელ ჰონდა) ---------- ჩამორჩა 3,7
3 ალექს ბარუში (ბრაზილია, რეპსოლ ჰონდა) ---------- 9,3

საერთო ჩათვლა

1 როსი 254 ქულა; 2 სეტე გიბერნო (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 224; 3 ბიაჯი 188; 4 ბარუში 144; 5 კოლინ ედვარდსი (აშშ, ტელეფონიკა ჰონდა) 136

250 სმ³ — 111,0კმ

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) --- 43 წთ; 03,5
2 სებასტიან პორტო (არგენტინა, რეპსოლ აპრილია) ---------- 13,5
3 ტონი ელიასი (ესპანეთი, ფორტუნა ჰონდა) ---------- 13,6

საერთო ჩათვლა

1 პედროსა 279 ქულა; 2 პორტო 231; 3 რენდი დე პიუნე (საფრანგეთი, კარერა აპრილია) 198; 4 ელიასი 168; 5 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია) 127

125 სმ³ — 105,4კმ

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, KTM) ---------- 43 წთ; 10,6
2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) ---------- 0,03
3 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ზეედორფ აპრილია) ---------- 6,5

საერთო ჩათვლა

1 დოვიზიოსო 248 ქულა; 2 რობერტო ლოკატელი (იტალია, კარერა აპრილია) 169; 3 ექტორ ბარბერა (ესპანეთი, ზეედორფ აპრილია) 167; 4 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, კახა მადრიდ დერბი) 159; 5 სტოუნერი 129



REUTERS კუბა ლუგბურნიდან

18 წლის ანდრეა დოვიზიოსომ სეზონის ბოლომდე ორი ეტაპით ადრე გაინაღდა ჩემპიონობა

ქართული სპორტის ფოტო ისტორია

ასე პქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღინერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვინვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ოქროები ნევაში ჩაგვუქრა

გერმანიის პატარა ქალაქ აბენსბერგში ევროპის საკლუბო თასის „ოთხთა ფინალი“ გაიმართა, სადაც ქართველმა ძიუდოისტებმაც აიხმაურეს ტატამი. მასპინძელი „აბენსბერგის“ სახელით იჭიდავა ჩვენმა ოლიმპიურმა გმირმა ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ), თუმც ვერც პირადად მან და ვერც გუნდმა ნახევარფინალში ვერაფერი მოუხერხა ქართველებით დახუნძლულ სტამბოლის „ბეშიქთაშს“. ზვიადაურს თვისტომ მინდია ბოდაველთან მოუწია ჭიდილი, ორი გაფრთხილებითაც უგებდა, თუმც ათენის ტრიუმფატორი ერთ მომენტში თავით შესულა ბრძოლაში, რის გამოც ტურნირიდან მოუხსნიათ. თურქულ კლუბში ერთბაშად ექვსი ჩვენებური ირიცხება: ნესტორ ხერგიანი (60 კგ), დავით მარგოშვილი (66 კგ), დავით ქევხიშვილი (73 კგ), მინდია ბოდაველი (90 კგ), ივერი ჯიქურაული (100 კგ) და „მამლუქი“ ირაკლი უზნაძე (81 კგ).

სწორედ „ბეშიქთაშის“ ქართველებმა დაამწუხრეს ზვიადაურის „აბენსბერგი“, ხოლო მეორე ნახევარფინალში სანქტ-პეტერბურგის „იავარა ნევამ“ ჰოლანდიური „ჰაარლემ კენამიუ“ დააჩოქა. სამწუხაროდ, ჩვენიანებით მოსულგმულე „ბეშიქთაშმა“ ფინალში წააგო რუსულ კლუბთან, რომელმაც ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ ასწია ევროთასი.

სხვათა შორის, ათენში ნაყოჩაღარმა ნესტორ ხერგიანმა თავის წილად ორივე შეხვედრაში იმარჯვა და ტურნირზე დაწესებული პრიზითაც დამშვენდა. ოქროს დაკარგვაზე კი დიდად ნუ ვინაღვლებთ. ბოლოს და ბოლოს, შოთა ხაბარელის „ვეფხვები“ ხომ ლეგიონერების სახელით ჭიდაობდნენ...

ილია ნანოგაჯვილი

ნესტორ ხერგიანი აბენსბერგში გამოარჩიეს

ქალები ჭადრაკს გვიცოცხლებენ

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა ევროპა ერთხელაც დაიპყრეს. გასულ კვირაში თურქულმა იზმირმა ევროპის საკლუბო ჩემპიონატს უმასპინძლა. ქალთა ათ ევროპულ კლუბში „ნტნ თბილისიც“ გაერია. ტურნირი შვიდ ტურად გაიმართა. ქართულმა კვინტეტმა ექვსში იმარჯვა და ერთი ფრედ დაასრულა. „ნტნ თბილისის“ ღირსებას ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე და სოფო გვეტაძე იცავდნენ.

ტურში მხოლოდ ოთხი მოჭადრაკე თამაშობდა და შესაბამისად, ჩვენი ხუთეულიდან ერთ-ერთს დასვენება უწევდა ხოლმე. შვიდივე პარტია ოდენ ნანა ძაგნიძემ ჩაატარა. 6-ნ-ჯერ ითამაშეს მაია ლომინეიშვილმა და ანა მათნაძემ, ლელა ჯავახიშვილმა 5-ჯერ, ხოლო სოფიო გვეტაძემ 4-ჯერ.

მამაკაცებში საქართველოს ორი კლუბი წარმოადგენდა, თუმც ვერც „ნტნ თბილისმა“ და ვერც სენაკის „ეგრისმა“ წარმატების მიღწევა ვერ შეძლეს. შედარებით უკეთესი შედეგი „ეგრისს“ ჰქონდა. 36 კლუბს შორის იგი მე-14 ადგილზე გავიდა „ნტნ თბილისი“ კი მე-18 ადგილს დასჯერდა.

ძალლიც ასეთი უნდა!

როკი-ჟემონ-დიკი

9-10 ოქტომბერს ვაკის პარკის საჩოგბურთო კორტზე საქართველოს სამოსამსახურო-სასპორტო ძაღლების მე-10 ღია ჩემპიონატი გაიმართა.

ადამიანთა ოთხფეხა მეგობრები სამ დისციპლინაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — წვრთნის ზოგადი კურსი, დაბრკოლებათა გადალახვა და დაცვით-სადარაჯო სამსახური. შეჯიბრში ძირითადად გერმანული ნაგაზები სჭარბობდნენ და პირველი სამი ადგილიც მათ დაისაკუთრეს. გამარჯვება ბატონ არჩილ გოგელიას კუთვნილ და ვიტალი კამიშინსკის მიერ გაწვრთნილი, 7 წლისა და 6 თვის როკი-ჟემონ-დიკს ხვდა წილად, რომელმაც ქულების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა და დამსწრე საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. აღსანიშნავია, რომ ეს მისი მეშვიდე ტიტულია.

შეჯიბრის დასრულებისას საქართველოს სასამსახურო-სასპორტო ძაღლების კინოლოგიური კავშირის პრეზიდენტმა გიორგი გახოკიძემ მადლობა მოუხადა დამსწრეთ ყურადღებისათვის და შეგვპირდა, შემდეგ თბილისის ღია პირველობაზე სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობასო.

ლადო ფულუკიძე

ესპანეთი

II დივიზიონი

ალავესი 3:2 პონტევედრა
სპორტინგი 1:2 სალამანკა
ტარაგონა 1:4 ეხიდო
ტერასა 0:1 სიუდადი
ალმერია 2:0 კორდობა
მურსია 0:2 კადისი
ხერესი 1:1 ტენერიფე

პორტუგალია

სუპერლიგა

ბეირა მარი 2:2 მარიტიმუ

ბეისბოლი კალიფორნიაში

„ლოს ანჯელეს დოჯერსის“ სტივ ფინლიმ მადლიანად კი მოუქნია კეტი ბურთს, მაგრამ ხელში კი შემოატყდა. ასეთი რამ მოხდება ხოლმე და ფოტოგრაფები არასოდეს გააცდენენ. „დოჯერსი“ სენტლუისელ „კარდინალებს“ ეპაექრება ეროვნული ლიგის სერიაში და „დოჯერსის“ სტადიონზე მისასვლელად კალიფორნიის გუბერნატორად მყოფ არნო შვარცენეგერსაც მოუცლია. არ გვიკვირს და, იქ ცოლი მარია შრაიფერი და ვაჟებიც მიუყვანია.





REUTERS ლოს ანჯელესიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალკანური სურათი

REUTERS სარაევოდან

ევროპული ფეხბურთი და ყოფილი იუგოსლავიის ძველი ბოღმები: სარაევოში, ბოსნია, კოსოვოს სტადიონზე, სერბიას მასპინძლობს. იქაური პოლიცია სერბ გულშემატკივრებთან იბრძვის. მოშუღარნი ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ უკვე დიდი ხანია, აღარ ესმით ერთმანეთის. ფეხბურთს ესეც ემატება.

ჩამოვლა



REUTERS ფილადელფიიდან

ბერნარ ჰოპკინსმა, ამას წინათ რომ ნოკაუტში ჩააგდო ოსკარ დე ლა-ჰოია და მსოფლიოს უდავო ჩემპიონი შეიქნა საშუალო წონაში, მშობლიური ფილადელფიის ქუჩები შემოიარა. იქაურებმა ლამის აღლუმი გაუმართეს თავის გმირს.

ვითომშუმი გოგონებში

იაპონიის დიდი პრიზის ამბავია: საფორმულე ამბავს ჯინლამ ტაიფუნმა შეუშალა ხელი. სუძუკას წრის პირად ჩამწკრივებულ ჯოხტა გოგონებს ჯი, წინ შოუს ჯაცმა, ვითომშუმიმ გაცინებული ნიღბით ჩამოუარა. თითქოს წინდაწინვე იცოდა, რომ მიხაელ შუმახერი რბოლას მოიგებდა და სეზონში 13 დიდი პრიზით, რეკორდსაც უფრო მიუწვდომელს გახდიდა.

REUTERS სუძუკიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge